



ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№276 (335) 8-15 ივლისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამებროს“ ორბანო 30 თეთრი
ის კი არაა სირსხვილი, რომ ემბრულად საუბრობან, არამედ ის, რომ დანარჩენ ქართველებს არ გავსის ემბრული – აკაკი შანიძე

წუთისოფელი ასეა, ღამე დღეს უთენებია...

რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“-ო, ომანხიანად მღეროდა ქართველი კაცი. ეს საკრალური სიტყვები არ გახლავთ რომელიმე პოეტის მიერ შექმნილი კლასიკის ნიმუში, იგი იმ ხალხის წიაღშია აღმოცენებული, რომელიც ხელს არ უშეშებდა გუთანსა და ხმალს, გამუდმებით იცავდა სამშობლოს შიმშილისა და გაბოროტებული მომხდურისაგან.

მტერს მხოლოდ ნგრევა და სიყვდილი მოჰქონდა, მაგრამ დაღვებოდა თუ არა თუნდაც რამდენიმე თვისანი ე.წ. მორატორიუმი, გუთნისდღეად ქვეული მთიანი გუთანს ნაუღვებოდა კვალში და ნაღველმორეული ხმით ზუზუნებდა “სიყვარულს უშენებია“-ს. სიძულვილისთვის არ ეცალა ქართველ კაცს, მხოლოდ სიყვარულსა და შენებაში ხედავდა თავისი ოჯახისა და სამშობლოს მომავალს.

გაილია საუკუნეები და როცა ქვეყნად სიმშვიდემ დაისადგურა, თითქოს სატანამ იმძლავროს, მაშინ მოედო ქართველი კაცის სულს გულგრილობის ობი და სიძულვილის ბაცილა, ერთმანეთს დღემუდამ ვუღრუნთ, არც ცოცხლებს ვინდობთ და არც მიცვალებულებს, მაგანს არამც თუ ოცდაათი, არამედ ათი ვერცხლის ფასადაც კი შეუძლია მოყვასისათვის ყელის გამოჭრა...

არჩევნებისწინა პერიოდი კი ნამდვილ კოშმარად გვიტყვის პოლიტიკოსებად წოდებულმა არაბობებმა, როგორი უშვერი სიტყვებით არ ღანძლავენ ერთმანეთს (ერთ რამედ მხოლოდ უგულავას უზრდუნობა კმარა), რა ინტრიგებსა და პროვოკაციებზე არ მიდიან ოპონენტების დასამცირებლად, რას არ კადრულობენ!..

ზოგჯერ მიფიქრია კიდევ – ღირს კი ამგვარი არაზადების გულისათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღება? მაგრამ ვიცი, რომ არჩევნებზე ყოველი არმისულის ხმა უშველად გაყვალდება და ამიტომაც, იძულებული ვარ, ნაციონალთა ჯიბრზე, წავიდე იმის ასარჩევად, რომელსაც ნორმალურ საზოგადოებაში გომურდან არავინ გამოაყოფინებს თავს, არამცთუ რომელიმე ხელმძღვანელ პოსტზე აირჩევს!

ვაქტია, რომ საზოგადოების მეტი წილი “მედღეხვადი” გახვდა, მაგრამ იმას აღარავინ დარწმუნებს, რომ ამ მედღეხვადობაში დრო სანთელივით გვადნება ხელში.

დროზე ძვირფასი კი რა შეიძლება იყოს ამ ქვეყნად?

არც დროის ფლანგვაზე დიდი დანაშაული არსებობს!

მაინცდამაინც ქვეყრში უნდა ვისხდეთ კინოფილმ “შერეკილების” გმირებით, რომ საქმე გავაკეთოთ და ერისა და ქვეყნისათვის სასარგებლოები გავხდეთ?

ნურავის ნუ ეწყინება, მაგრამ, ჯერჯერობით, იშვიათთაგან ერთერთ კაცად, ვისაც ერთი წამი დროც კი არ დაუკარგავს უქმად – ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი მაინტი ძაძაძია მიმანია, რომლის მიერ ქმნილ სასიკეთო და ერისათვის სასარგებლო საქმეებს ერთი სიცოცხლე ნამდვილად არ ეყოფა. მას არც ის აღარდებს, რომ ამ ქმნილმა საქმეებმა უამრავი მოქალაქე და მტერი გაუწინა (სამწუხაროდ, ანანია ჯაფარიძეები, ტარიელ ფურცარაძეები, მარიამ ლორთქიფანიძეები და მსგავსნი მათნი არა მხოლოდ ბატონი მაინტი ძაძაძის, არამედ სრულიად საქართველოს დაუძინებელი

მტრები არიან) და მაინც შესაშური მონღოლებით აკეთებს საშვილისშვილო საქმეებს!

ბარაქალა თქვენს მარჯვენას, ბატონო მაინტი!

ჩვენ კი ვსხედვართ მორტებით და “ფილოსოფიური ქვის” მოლოდინში ათასნაირ ილუზორულ გეგმებს ვხაზავთ ნაცარში, ვოცნებობთ დემოკრატიაზე, მაშინ როცა საზოგადოების 24 პროცენტს თავი ვერ დაუღწევია მონობის სინდრომისაგან და კვლავ საქართველოს გამდატაკებულ-გამნახვერებელ-გამანადგურებელ “ნაციონალურ მოძრაობას” შესცქერის იმედის თვალით!

საბედნიეროდ, საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ბრწყინვალედ “ჩააბარა” უკანასკნელი საარჩევნო გამოცდები და საბოლოოდ შეაქცია ზურგი ნაციონალიზმს, რაც ზუგდიდის შედეგებმა დაადასტურა!

ჩაიარა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებმა, ჩაიარა მშვიდად, სასურველი შედეგით – ავადსახსენებელმა ნაციონალებმა უფრო ახლოს მიიწიეს პოლიტიკურ სასაფლაოსთან. რაც შეგვეხება ჩვენ, კვლავ სასწაულის მოლოდინში ვართ.

სასწაული კი ბუნებაში არ არსებობს. ყველაფერი ადამიანის შრომისა და ღვთის წყალობის ნაყოფია. სასწაული კი საკუთარ ოცნებებს გამოდევნებული ადამიანის ფანტაზიის ამოებებით პროდუქტია.

განა ღმერთი არ გვეუბნება: “გაანბრიე ხელი და გეშველებაო”?

ჩვენ კი არც ხელის განბრევა გვინდა და არც ტვინის. ამოვიჩნებთ (უფალი მომიტყუებს!) ღამის რელიგიურ პარაზიტშიმად ქვეული თეხა: “საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გახვადო და ყველაფერი თავისით მოვაო”.

“თავისით” კი რაც მოვიდა, ყველამ კარგად ვნახეთ: მეოცე საუკუნის მოწურულს ახლადფუხადგმულ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში სუკის მიერ ჩანერგილმა შავმა ძალამ შვა კიტოვანი, იოსელიანი და სიგუა, ამ ბანდიტურმა ტრიუმვირატმა შვა ედუარდ შევარდნაძე, ედუარდ შევარდნაძემ შვა მიხეილ სააკაშვილი და მისი ხროვა – უცხვირპირი, უმადური და ადამიანის სახედაკარგული ბოკერიები, კანდელაკები, მინაშვილები, ვაშაძეები, ხაჩიძეები, ჯაფარიძეები, რატანები, თაქთაქიშვილები, გოგორიშვილები, ნადირაშვილები, წიკლაურები, ბარამიძეები, მაჭავარიანები, დარჩი-აშვილები და ა.შ და ა.შ...

ამის შემდეგ რაც იშვება, ეს ჯერ კიდევ საკითხავია!..

არც აქ დარღვეულა, ადამის მოდმიდან დამკვიდრებული, ორ ფეხზე მავალი მეტყველი ცხოველის სტიმიულის ფილოსოფიური არსი: “სიბოროტისაგან ნურაოდეს გამოელი სიკეთეს”!

მაინც სად დაიბადნენ და სად გაიზარდნენ ასეთი უტიფარი და ყველაფრის მკადრებელი არაკაცები, რომელთაც, სიტუაციის ასარევად, მარნეულში საკუთარი აქტივისტიც კი გაიმეტეს საციხედ საიმისოდ, რომ “ქართული ოცნებისათვის” არჩევნების გაყვალდება დაეზრადებინათ.

ჩვენ კი კვლავ ხეითოდ ქვეულ “ქართულ ოცნებას” შევყურებთ ხელეშში. ჩვენ 2012 წლის ოქტომბერში აყვევით ამ ოცნებას და არჩევანში არც წავგვივია, რადგან პოლიტიკურ მოუსაველეთში გავაგზავნეთ

ქვეყნის მოღალატე მიხეილ სააკაშვილი და მისი ნაციონალური ხროვა, დღეს კი ქვეყნის საქმე მაინც არ იდრის წინ. როგორც იტყვიან, “ღმერთმა გვიშველა”, მაგრამ ხელის განბრევა მაინც არ გვინდა... საქმე კი იმიტომაცა გაყინული, რომ ქვეყანაში სამართლიანობა ჯერ კიდევ ვერ დაგამკვიდრეთ და დამნაშავე ნაციონალებს ციხეში არ მივუწინეთ ადგილი. მხოლოდ მერაბიშვილსა და ახალაიებს აკიდეთ ყველა ამქვეყნიური ცოდვა, სხვა პირწავარდნილი დამნაშავე ნაცები კი კვლავაც თავისუფლად დასეირნობენ, ან თანამდებობებზე სხედან და აქეთ გემოდვრავენ!

მათ სისხლიანი ტერორი გამოგვიცხადეს, ჩვენ კი უსისხლო ტერორსაც ვერ ვუცხადებთ!

ახლაც, ციური მანანის მოლოდინში ვართ გარინდებულები “ოცნებისტების” წინაშე, რომლებიც თანდათან ღიზიანდებიან ჩვენი მომხმარებლური დამოკიდებულებით და ხვალ, ეს მართლაც დემოკრატიული ძალა, შეიძლება ჩვენზე უგულისყურობის მიზეზით იმაზე ბევრად მეტად დიქტატორულ ძალად მოგვევლინოს, ვიდრე დორბლიანი სააკაშვილი და მისი მახინჯი პარტიული გარემოცვა იყო...

“წუთისოფელია ასეა, ღამე დღეს უთენებია“-ო კი გვამინებს ხალხური სიმღერა, მაგრამ არა და არ გათენდა ჩვენთვის. კვლავ სიძულვილის ენაზე ვესაუბრებით პოლიტიკურ ოპონენტებს, რადგან სამართლიანობის აღდგენის მომლოდინებმა მივიღეთ “კოპაბიტაცია”, თუმიდის გამარჯვების როყთ შეპირება და უფრო მეტად გათავებულ-გაპიარებული ნაცები.

დიდად არ მეპიტნავებიან სკეპტიკოსები, მაგრამ ზოგჯერ იმის სერიოზული ეჭვი მიწნდება – ხომ არ არის “ნაცებსა” და “ქოცებს” შორის გამართული პოლიტიკური ბატალიები წინასწარმოფიქრებული მზაკერული სპექტაკლი, რომელიც ამერიკელთა სუფლითობით მიმდინარეობს?

თუ პოლიტიკური ძალების ურთიერთ-გაუცხოებაზე ლაპარაკი, თითქოს ახალ ხელისუფლებას არ აკლია სიძულვილის მუხტი ავადსახსენებელი ნაციონალებისადმი, რომელთაც იმედები ცოცხლად დაუმარხეს ქართველ ერს, მაგრამ, მომიტყუებს უფალი და ეს სიძულვილი უფრო არაღვგალურ სიყვარულს მაგონებს, ოპონენტები, სხვათა დასანახად, მოსალაპარაკებელი მაგიდის ზემოთ რომ უშვერი სიტყვებით ღანძლავენ ერთმანეთს, მაგიდის ქვემოთ კი ფეხების ცაცუნით ნახად რომ ეფერებიან ასევე ერთმანეთს.

ეს უკვე ქართული ერისადმი სიძულვილის გამოხატულება გახლავთ, რომელსაც ხალხი ისევე არ აპატიებს “ქართულ ოცნებას”, როგორც ავადსახსენებელ “ნაციონალურ მოძრაობას” არ აპატია.

ნაცებს კი უკვე სახარჯო ფული აღარა აქვთ, განსაკუთრებით ბიუჯეტის ფული, რომელსაც უხვად ხარჯავდნენ არჩევნებში ელექტორატის მოსახყიდად. ამის მკაფიო მაგალითად თუნდაც ყოამყრად უგულავას მიერ 50 მილიონი ლარის საბიუჯეტო თანხის მითვისებაც კმარა. საკუთარი ფული კი, გაგიხარიათ, ნეჭითი უყრით ოჯახებში, რადგან ჯერ კიდევ აკონტროლებენ მათ მიერ დანაშაულებრივი მონოპოლიური სქე-

მებით შექმნილ იატაკქვეშა ეკონომიკას. მაგრამ სააკაშვილი და მისი ნაცხროვა იმ სოლომონ ისაკიან მეჯღანუაშვილის ჯიშისანი არიან, ვინც არამად ნაშოვნ ფულს მუთაქებში კუჭავს და “შავი ღლისათვის” საგულდაგულოდ ინახავს. ამიტომ, ამ გზით ნაშოვნ ფულს ნაციონალთა ნარჩენები არასოდეს გაიმეტებენ ეკონომიკურად და სოციალურად მათ მიერვე გადატაკებული ხალხის დასახმარებლად და არჩევნების მოსაგებად. ურჩენიათ უსაქმოდ იყიადონ, ვიდრე არამად ნაშოვნი ფული დახარჯონ! რაც შეეხება მათთვის ესოდენ საყვარლო შავ დღეებს, იგი 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ უკვე დაუღაოთ და დროა, რომ ამ მუთაქებს თავი მოხსნან...

ამრიგად, ქართული პოლიტიკური სპექტრი დღეს ორ ძირითად ნაწილადაა გაყოფილი: იმთაოდ, ვინც დიდი ფული იშოვებს ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში (ძირითადად – მოქალაქეობის, ნაციონალური, ბურჟუაზიისტები და მათ მიტმანსნილები) და იმთაოდ, რომელთაც ფული ვერ იშოვებს და ამიტომაც მიუღწევიათ ესოდენ ავჯირახსნილად ხელისუფლების მწვერვალს (ნათელაშვილისტები, კუკავასტები, ჩიხრაძისტები და მათი მსგავსნი). მერკანტილიზმია ამ “მოღვაწეთა” პოლიტიკური ორიენტირი და, ამიტომ, მათ პირად დაუძინებელ მტრად და არა პოლიტიკურ ოპონენტებად მიანხიათ ყველა ის, ვისთანაც შეიძლება დამარცხდნენ სუფთა პოლიტიკურ ბრძოლაში და მით დაკარგონ მილიონების თუგინდ არამად შოვნის შესაძლებლობა!

სწორედაც რომ ჩვენი სიბეცისა და ინდეფერენტულობის ბრალია, რომ ამ მენტალიტეტის ხალხი გვებედავს მოგვთხოვოს ხმები საარჩევნოდ. თითქოს ცოტ-ცოტა ყველაფერი გვაქვს – პენსია, შემწეობებიც, უფასო განათლება და ჯანდაცვა, მაგრამ გვაკლია მთავარი – შინაგანი პოლიტიკური კულტურა და ქვეყნის სამომავლო გზის თავისუფლად ამორჩევის პოლიტიკური ნება. მაგანთა მიერ თავსმოხვეული გზა კი არის გარყვნილება, ფინანსური კაბალა, გაპარტახებული სულიერება, მორალურად ეროზირებული თაობა...

მოკლედ, რაც შეგვეხება ჩვენ, დიდი ხანია სიბუნელში ვართ და ვიდრე საკუთარ თავს არ დავეკითხებით, საერთოდ გვინდა თუ არა ესოდენ ნანატრი სინათლე, მანამდე კუნაპეტ სიბუნელში მოგვიწვევს ყოფნა. არ ვიცი უკვე მერამდენად ვამბობ, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო – ასეც ვიქნებით, ვიდრე არ გამოჩნდება ის რეალური პოლიტიკური ძალა, რომელიც სამშობლოსა და ხალხის ბედით იქნება დაინტერესებული და არა საკუთარი კარიერითა და მატერი-ალურ-ფინანსური კეთილდღეობით!

იმედია, ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი დამერწმუნება, თუ ვიტყვი, რომ ამგვარი ძალა დღეს საქართველოში გახლავთ მხოლოდ სახალხო მოძრაობა “სამებროს”, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, უადრესად ერუდირებული პიროვნება და შეუმცდარი პოლიტიკოსი ბატონი ალექსანდრე ჯაჭია!

როლანდ ჯალაღანი, “შახისი“-ს და “აია“-ს აკადემიების წევრი

“აფხაზეთი – XIX საუკუნე”



“აფხაზეთი – მე-19 საუკუნე” – ასე ჰქვია ალბომს, რომელიც ამ პერიოდის აფხაზეთის მთლიან და რომელიც 261 უნიკალურ ფოტონამუშევარსა და ნახატს წარმოგიდგინებს. ალბომი ერთგვარი გიდის როლს ასრულებს XIX საუკუნის აფხაზეთში მოგზაურთათვის.

თუმცა, როგორ გამოცემის რედაქტორი ნინო ბურჩიანიშვილი აღნიშნავს, “გამოცემა მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისთვის, რომ ამ მიმართულებით სამეცნიერო სამუშაოებიც დაიწყო”.

ალბომის ავტორები ორ, ქართულ-აფხაზურ ენაზე მომზადებულ მასალებსა და ფოტოებს ენგურს გამოძღვა ათი წლის განმავლობაში აგროვებდნენ, ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად.

ზურაბ შინბელია (ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი): – ალბომის შექმნის იდეა 2000 წელს გაჩნდა, ერთ-ერთ აფხაზურ ოჯახში

სტუმრობისას. აფხაზმა მასპინძელმა ქართველ სტუმარს სთხოვა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, აფხაზეთის შესახებ ენგურს გამოეძღვა არსებული დოკუმენტური ფოტომასალა შეგროვებით. ომის შემდეგ აფხაზეთში ყველაფერი განადგურდა. დაიწვა არქივები, მუზეუმები... შესაბამისად, ეს აფხაზური ინტელიგენციის ერთი ნაწილის იდეა და თხოვნა იყო, იმ ადამიანთა თხოვნა, ვინც ომის შემდეგ საკუთარი წარსული დაკარგა.

ასე დაიწყო თბილისში მასალების მოძიების ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი. ექვთიმე ყველაძე არქივებში, ინსტიტუტებში, პირად კოლექციებში...

ალბომი აფხაზმა ისტორიკოსმა თეო ვიცხამ შეადგინა. მასში სწორედ აღნიშნული პერიოდის დოკუმენტური მასალა შევიდა. ამ ათი წლის განმავლობაში 650-ზე მეტი ფოტო, გრაფიკა თუ ნახატი მოგროვდა. მათ შორის ბევრი პირველად გამოქვეყნდა: გრიგორი გაგარინის ჩანახატები, ივან აივაზოვსკის ნახატები, პოტ-შილდის გრაფიკები, დიმიტრი ერმაკოვის, ბოლოლიუბოვის, ალექსანდრე რონინის ფოტოები.

“ხელოვნების მუზეუმში მივაკვლიეთ ერთ სურათს, რომელსაც ეწერა თავადი შერვაშიძე, მაგრამ რომ ვიკითხე, რომელი თავადია-მეთქი, ვერ მიპასუხეს. მოგვიანებით, ხელნაწერების ცენტრში ფოტოგრაფ ვლადიმერ ბარკანოვის ნამუშევარი ვნახე და მივხვდი, რომ ის ნახატი სწორედ ბარკანოვის ფოტოს მიხედვით იყო შესრულებული და ცნობილ მხატვარს, “ვეფხისტყაოსნის” ილუსტრაციების ავტორს, მიხაი ზინის ეუთვნოდა”, – იხსენებს თეო ვიცხა. შეგროვებული 650-მდე ფოტოდან ნაწილი იმდენად დაზიანებული იყო, რომ ალბომისთვის მხოლოდ მათი მცირე ნაწილი შეირჩა. ამ ფოტოებიდან ბევრია ისეთი, რომელიც ალბომში დაბეჭდვამდე უცნობი იყო.

გამოცემის რედაქტორი ნინო ბურჩიანიშვილი ამბობს, რომ ალბომი ოთხ ნაწილად დაიყო. პირველი ნაწილი მოიცავს

აფხაზეთის მთავართა სახლს, შერვაშიძეების ისტორიას, მუჰაჯირობასა და რუსეთ-თურქეთის ომებს; მეორე – არქიტექტურულ ძეგლებსა და დასახლებულ ადგილებს; მესამე – ეთნოგრაფიულ მასალებს; მეოთხე – კულტურისა და განათლების სფეროს. ალბომში წარმოდგენილი ფოტოებისა და ნახატების მიხედვით შეგიძლიათ შეიქმნათ სრული სურათი, თუ რა ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის აფხაზეთში.

მაგრამ, რამდენიმე სქელტანიანი წიგნიც კი არ ეყოფა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ასახვას თუნდაც XIX-XX საუკუნეებში. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილმა 1998 წელს აფხაზი და ქართველი საზოგადოების წინაშე საკითხი დასვა – პორუჩიკ ნიკოლოზ ემუხვარს, როგორც ღირსეულ აფხაზ მამულიშვილს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე მშობლიურ ქალაქის გადარჩენისათვის გადადო, ძველი დაედგას სოხუმის ნავსადგურში და სიმბოლურ საფლავზე ქანდაკება აღემატოს თბილისშიც.

საკუთარი ღირსების დაცვისა და ქალაქის გადარჩენისათვის, ასეთი მძიმე აღსასრული ერგო ნიკოლოზ მელიტონის ძე ემუხვარს – ლეო ქიაჩელის დაუეწიარო ნოველის “ჰაკი აბას” პერსონაჟის – უჯუშ ემხას პროტოტიპს.

არანაკლებ, საინტერესო პიროვნება იყო ნიკოლოზ ემუხვარის უფროსი ძმა, დავით (ბოდლო) ემუხვარი. იგი კონსტანტინე გამსახურდიას “მთვარის მოტაცების” გმირის – თარაშ ემუხვარის ერთ-ერთი პროტოტიპია – ცხოვრების წესითა და სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულით, ბატონი დავითი მართლაც ძალიან ჰგავს თარაშ ემუხვარს.

ამ რამდენიმე წლის წინ ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა ვილენ მარდალეიშვილმა სტატია გამოაქვეყნა (გმარდალეიშვილი, “წინაპართა აზრები არ გვაპატიებენ”, “კომუნისტი”, 29 მარტი, 1988 წელი). მასში ბოდლო ემუხვარის მეუღლესთან, ქალბატონ დიდი ჩანბაია-ემუხვართან სტუმრობა აღწერილი.

“ძველ, ტრადიციულ აფხაზურ ოჯახში აღმოვჩნდი. აღმოვჩნდი სათნო ქალის პირისპირ, რომელიც საინტერესოდ გვიამბობს ემუხვარების ოჯახის ისტორიას, იმას, თუ რა სიტუაცია და სიმწარე აგემა ცხოვრებამ...”

იქვე მისი ქალიშვილი – ექიმი სტომატოლოგი ლეილა ემუხვარი საჩვენოდ არჩევს ძველ გაზეთებსა და ფოტოსურათებს, სახელშია შვილისშვილი – ფიზიკოსი დათო შარვაშიძე.

ქალბატონი ლეილა დრო-ჟამით გაყვითლებულ ფოტოს მაწვდის: – “აი, ნახეთ, რა სურათი ინახება ჩვენთან; მასზე აფხაზეთის დეკლარაცია აღბეჭდილი... ეტყობა, სურათი მეფისნაცვალთან მიღების შემდეგ გადაიღეს...”

მოკლედ, აფხაზეთი (და საქართველოც იმ “ოქროს” ინახავს, რაც სულიერად ამდიდრებს ამ ორ მომე ხალხს. მთავარია ვიპოვოთ ეს ოქრო და მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანოთ იგი.

იმედია, რომ ქართველი და აფხაზი ეროვნების შემოქმედები როდისმე შესძლებენ ამგვარ ისტორიულ ანალებზე ერთობლივად კვლევით მუშაობას, რათა მხედველობიდან არ გამოვრჩეს ამ ორი ხალხის ღირსეულ წარმომადგენელთა ცხოვრების უმნიშვნელო წერილმანიც კი, რადგან ის, რაც რიგითი მკითხველისათვის “წერილმანია”, შეიძლება ფასდაუდებელი საუნჯე გამოდგეს ჩვენი საერთო წარსულისათვის!

ნ. ჯაფარიძე



ერთი ტრაგედიის ქრონიკა დევნილის ჩანაწერები



თამარ ოდიშარიას სოხუმში ყველა იცნობდა. შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლიდან ვინ იცის, რამდენი თაობა გააცილა. 1990 წელს აფხაზმა სეპარატისტებმა პირველი იერიში სწორედ ამ სკოლაზე მიიტანეს. თამარ ოდიშარია იყო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქალაქკომის მდივანი და სტალინის მიერ მოწვეული უკანასკნელი საკავშირო ყრილობის დელეგატი. ქართველი ქალბატონი სტალინიმ ესპანეთის დელეგაციას ასე წარუდგინა: Знакомтесь, это типичная грузинка! აფხაზეთში, საკუთარ აგარაკზე ჩასულმა სტალინიმ ქალი ორჯერ მიიწვია. ქართულად საუბრობდნენ. სტალინი სოხუმის მოსახლეობის რაოდენობით დაინტერესებულა...

თამარ ოდიშარიას სკოლა და სოხუმი ომის ბოლო წუთებამდე არ მიუტოვებია. 27 სექტემბერს ალყა შემორტყმულ მთავრობის სახლში შესულმა საკუთარი თვალთ ნახა, როგორ ჩამოჰყავდათ კიბეზე ყოელი შარტავა, გურამ გაბესკირია, მიშა კოკია... მაშინ დარწმუნდა, რომ გაქცევის გარდა, საშველი აღარ ჰქონდა, სოხუმი სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა, და უმჯველი სიკვდილისთვის უნდა გაესწრო.

დაცემული სოხუმიდან გულრიფშისკენ ფეხით იარა. ძლივს მიაღწია ნავისადგომამდე. იქ თამარ მასწავლებელი ყოფილა მოსწავლეებმა იცნეს და კატარღით ზღვის სიღრმეში მღვარ ხომალდამდე მიიყვანეს.

ხიზნის მძიმე ცხოვრებით იცხოვრა. ჯერ თვალისწინი დაკარგა, მერე ყველაზე ძვირფასი – ერთადერთი ვაჟი!.. ამ უბედურების შემდეგ სიცოცხლემ აზრი დაკარგა... ერთ დღეს, როდესაც შინ თავი მარტო დაიგულა, სქელი თავშეკრული თავი მაგრად შეიხია, ღოჯის ვიწრო აივანზე გავიდა და... მაღალი სართულიდან მარადისობაში გადაეშვა!.. სოხუმიდან შორს, შვილის გვერდით პოვა საშუალო განსახლება უმშვენიერესმა ქალბატონმა, რომლის სიღამაზე თავის დროზე სტალინსაც კი აოცებდა...

“ღვთაებრივად” დანახული პროზონტი...

1993 წლის 27 სექტემბერს უკრაინული ხომალდის გემბანიდან გაეყვრებოდა აღმოდებულ სოხუმს... თითქოს ცას უნდა წაჰკიდებოდა ცეცხლი, ზღვა კი საოცრად მშვიდი იყო!.. როდესაც გემი გულრიფშის ნავისადგომს მოშორდა და ზღვის სიღრმეში შეცურა, ვიკრძინი, რომ ჩემთვის ძალიან ძვირფასს დავემშვიდობე!..

მას შემდეგ ოცი წელზე მეტია, ზღვა არ მინახავს. მინდოდა, კვლავ სოხუმში შევხედოდი ერთმანეთს. შარშან ბათუმში ჩასულმა თითქოს ვნახე და ვერც ვნახე – სოხუმის ყურეში შემოტრიალი შავი ზღვა არ ჰგავს ბათუმისას...

ყოველ კვირას მარტყოფში, ღვთაების მამათა მონასტერში დავდივარ წირვაზე. იქ ერთი ადგილია, სადაც ლიტურგიის შემდეგ განგმარტოვებები ხოლმე – მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით პორიზონტი იშლება – საოცრად ნაცნობი პანორამა. შორია მარტყოფიდან შავი ზღვის ნაპირებამდე, მაგრამ იქიდან თითქოს ჩემი მზისფერი სამკვიდრო ჩანს!..

სვეტლანა კვიცინიანი

საკრებულოს რომელია დეკუტატმა გადასცა თანხა ჯაბა ბოჯბუას დასახმარებლად

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილი მომდრალ ჯაბა ბოჯბუას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის თაობაზე, რომელიც უკვე ექვსი წელია კომაშია და სიცოცხლისათვის იბრძვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ ეხება არცერთი დამხმარე სამედიცინო პროგრამა და ოჯახმა ყველაფერი გააკეთა, რათა ბავშვისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა და ფაქტიურად უბინოდ და ყოველგვარი შემწეობის გარეშე დარჩა. ამიტომ თხოულობს ჯაბა ბოჯბუას ოჯახი ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას.

თბილისის საკრებულოს სახელდება და სიმბოლიტის კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნათელა მაჭავარიანმა საკუთარი პრემიიდან თანხა ჯაბა ბოჯბუას დასახმარებლად გადაიტანა.

როგორც თბილისის საკრებულოდან გვაცნობენ, ნათელა მაჭავარიანმა, მომდრალ ჯაბა ბოჯბუას მონახულა, რომელიც უკვე ექვსი წელია, თავის ტვინის პიპოქსიური დაზიანების დიაგნოზით კომაში იმყოფება.

მათივე ინფორმაციით, დიაგნოზის მკურნალობას, რომელიც მომდრალს დაუსვენს, კერძო თუ სახელმწიფო დახვეწა და ჯანდაცვის არსებული არც ერთი პროგრამა არ ანახლავს, ამიტომ ოჯახი კონკრეტული შემოწირულობებისა და ერთჯერადი სახელმწიფო დახმარებების იმედად არის დარჩენილი.

ნათელა მაჭავარიანმა მიღებული

პრემიიდან თანხა ჯაბა ბოჯბუას დასახმარებლად, ოჯახის საბანკო ანგარიშზე გადაიტანა. მაჭავარიანი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული თანხა დაეხმარება ჯაბას ოჯახს, პირველადი საჭიროების მედიკამენტების შესაძენად.

ჩვენ სრულიად არ გავკვირვებია, რომ პირველად ხელი ქალბატონმა ნათელამ გამოიღო, რადგან ქალბატონ ნათელაზე კარგად არავინ იცის, თუ რას ნიშნავს ადამიანისთვის შვილის სიცოცხლე. ქალბატონი ნათელა ხომ უნიჭიერესი მსახიობის გეგა კობახიძის დედა გახლავთ, რომელიც “თვითმფრინავის საქმის” გამო, მძიმე ივერიელებსა და მოძღვარ თევდორე ჩიხლაძესთან ერთად ვერაგულად დაახვერტინა კაცთმოძულე ბარბაროსმა და საკუთარი კარიერისათვის ყველაფრის შეგარდნაზე უარდ შეგარდნაზე.


გვინდა ვირწმუნოთ, რომ შეიღს დანატრებული დედის მაღლიანი ხელით ბოძებული შემწეობა დიდად წაადგება წლების მანძილზე ლოგინად ჩავარდნილი მომდრალის ჯაბა ბოჯბუას ჯანმრთელობას!

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ღვთის წყალობის იმედზე დარჩენილი მომდრალის დედა აუცილებლად იზიემებს შვილის გამოჯანმრთელებას!

თქვენ კი, დიდი მადლობა ამგვარი გულისხმიერებისათვის, ქალბატონ ნათელა!

რ. შალამაძე

მს კაღზე საინტერესოა



ამ დღეებში გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა მამა და შვილი თანავეტორების, პროფესორებისა და აკადემიკოსების მამანტი და ცირა ძაძამიების მორიგი ნაშრომი, სახელწოდებით „ჭემმარიტება და მხოლოდ ჭემმარიტება“.

წიგნი მოიცავს 648 გვერდს და შედგება 4 ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში, დასათაურებთ: „ეს მართლაც სენსაციური რეალობებია, ანუ: მეგრული ენა – სამყაროს ნომერ პირველი საოცრება“, ავტორებს წარმოადგენილი აქვთ ცალკეული საკითხები და მონაცემები, ჯერაც კომპიუტერული ამონაბეჭდის სახით

არსებული მათი სამტომეულიდან: „ცალკეული საინტერესო მონაცემები საენათმეცნიერო და ზოგადსამეცნიერო საკითხებზე, ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკაზე“, და მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიას, ირინე ძაძამიას, ია ძაძამიას, ბესარიონ ძაძამიას, ელენორა მებონია-ძაძამიასა და ირაკლი ხაჭაპურიძის (ასევე კომპიუტერული ამონაბეჭდის სახით არსებული) ოცტომეულიდან: „მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატარებელი“. და ბოლოს, აქვე, ავტორებს ძალიან მოკლედ მოხმობილი აქვთ ცალკეული მონაცემები მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიას, ირინე ძაძამიას, ია ძაძამიას, ბესარიონ ძაძამიას, ელენორა მებონია-ძაძამიას, ირაკლი ხაჭაპურიძის, მარიამ ხაჭაპურიძის და ქრისტინე ხაჭაპურიძის ნაშრომიდან: „მეგრული ენის კომპიუტერული დეკრიფციის მრავალათასტომეული (სავარაუდოდ, 25000-ტომეული)“. („სავარაუდოდ“, – წერენ ავტორები, იმიტომ, რომ მათ ჯერ-ჯერობით შედგენილი აქვთ ამ მრავალათასტომეულის პირველი ათასი ტომი და აგრძელებენ მასზე მუშაობას).

კერძოდ, წიგნის პირველ ნაწილში (ზემოაღნიშნულ სათაურქვეშ) წარმოდგენილია შემდეგი საკითხები: 1. მოკლედ მეგრული ენის ლექსიკის საბოლოო მონაცემების შესახებ, ანუ: ფანტასტიკური სინამდვილე; 2. მოკლედ მეგრული ენის, სხვა ქართველური ენების, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და მსოფლიოს ენების ასაკისა და გენეტიკური კავშირურთიერთობის შესახებ; 3. მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური, – ენები და არა დიალექტები, რაღაც მათი დამტიკება ზოგიერთებს

სურთ; 4. მეგრული ენა – სავანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალური მოდელი; 5. საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის ბუნებითობის თეორიის უარყოფა – ბუნების კანონების, თვით ქვეყნიერების შემქმნელი უდიდესი ძალის უარყოფა; 6. ენის წარმოშობის საკითხის შესწავლის საკაცობრიო მნიშვნელობა; 7. საქართველო – მსოფლიო ენათმეცნიერების ეპიცენტრი; 8. მეგრული ენა – მსოფლიოს ნომერ პირველი საოცრება; 9. ეს მართლაც სენსაციურია, ანუ: მეგრული ენის კომპიუტერული დეკრიფციის მრავალათასტომეულის (სავარაუდოდ, 25000-ტომეულის) პირველი ათასტომეული სახეზეა.

წიგნის მეორე ნაწილში, სახელწოდებით: „ჩვენი ბრძოლა, მეგრული და სხვა ქართველური ენების დაცვისათვის“, წარმოდგენილია მამანტი ძაძამიას წერილები, სტატიები, კორესპონდენციები, – დაწერილი 2000 წლიდან დღემდე და გამოქვეყნებული სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ასევე გაგზავნილი შესაბამისი ადრესატებისადმი. ისინი შეეხება მეგრულის, სხვა ქართველური ენებისა და საერთო ქართული ენის დაცვის პრობლემატიკას. მათში, ავტორი პირუთვნელად და სრული პირდაპირობით ამხელს მეგრული და სხვა ქართველური ენების დისკრედიტაციის ფაქტებს, რასაც, ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში ცალკეული ადამიანების მხრივ, და კატეგორიულად აყენებს მოთხრობას ამგვარი ვითარების ძირშივე ადკეთის შესახებ. ასევე კატეგორიულად მოითხოვს იგი ქვეყნის ხელისუფლებისაგან, რათა ამიერიდან უზრუნველყოფილ იქნას ამ ენების დაცვა, საამისოდ არსებული

საერთაშორისო კანონებისა, და კერძოდ, ევროსაბჭოს მოთხოვნების მიხედვით, რისი ვალდებულებაც დიდი ხანია აღებული აქვთ.

წიგნის მესამე ნაწილში, სათაურქვეშ: „ქართველური თუ იავგტური“, წარმოდგენილია საკითხი: „რატომ გახდა საეჭვო ქართველური ენების არსებობა და მართლაც არსებობენ თუ არა ისინი“.

მეოთხე ნაწილის დასათაურებაცა და არსიც ასეთია: „მცირედი რამ მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიას საენათმეცნიერო ნაშრომების რეცენზია-შეფასებების შესახებ“.

წიგნში წარმოდგენილი საკითხების გარკვეული ნაწილის ზემოთ მოტანილი დასახელებაც კი, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ნათლად მეტყველებს თუ რამდენად საინტერესოა ეს ნაშრომი არა მხოლოდ დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველი საზოგადოების ფართო წრისათვის. წიგნში, გარდა უშუალოდ საკითხების მონაცემებისა, უხვად არის წარმოდგენილი ერთობ საინტერესო საერთო ხასიათის მრავალმხრივი საინფორმაციო მასალა.

სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ყოველი ოჯახისთვის უთუოდ სამაგიდო ხასიათის ეს წიგნი ძალზე მცირე ტირაჟით – მხოლოდ 100 ცალის რაოდენობით – არის გამოცემული. ამიტომაც, ამ წიგნის განმეორებით (თანაც დანქარებით) და საკმაოდ ტირაჟით გამოცემა უთუოდ საშური და პრესტიჟული საქმეა, და, ვფიქრობთ, იგი ჭემმარიტად პატრიოტი მეცენატი ადამიანების დაინტერესებას გამოიწვევს.

საპ. იფშ.

“ეპისკოპატის სიმრავლე საქართველოს ეკლესიაში ბანხეთქილება ამაზაფს” – მღვდელმონაზონი ილია



გორც ჩანს, დასკვნები თქვენთვის მომინდვია...

...მე შეძლებისდაგვარად და, შეიძლება ითქვას, უფრო ჭარბადაც, ვიცი ის, რომ ეპისკოპატის რომ ჰგონია არ ვიცი. მინიმუმ ათჯერ უფრო მეტი ვიცი, ვიდრე მათ ჰგონიათ რომ ვიცი. მინიმუმ 15 მღვდელმთავარი ადვენებს თვალყურს ჩემს გვერდს. გუშინწინ ერთიც შემიმატა. შემიძლია მათი ნიკნეიმებიც დაგისახელოთ, წყალი რომ არ გაუვა ისეთი სარწმუნო წყაროებიდან. გამეცით პასუხი მღვდელმთავრებო: ვიცი რომ მთელი გულსყურით კითხულობთ ჩემს სტატუსებსა და სტატიებს, ჩემმა სატელევიზიო ინტერვიუებმაც გულმძარვა გამოიწვია თქვენში. თუ მართალი ვარ, რატომ გაქვთ გულმძარვა და თუ ვტყუი – მამხილეთ. ისლა დამრჩენია, ერთი უარსონული ანდაზა გავისხენო: „უსინდისოს ცხვირ-პირში მიაფსეს და ეს რა ცხელი წვიმა მოსულაო“. მღვდელმთავრებო, მომიხსენიეთ ლოცვებში. იქნებ ლოცვა მაინც ისწავლოთ.

ეპისკოპოსი და ერისკაცები – ორივე დედაეკლესიის შვილია. ჩვენ, სამღვდელმთავრებო, უფრო მეტი მოგვეთხოვება და იერარქია ეკლესიაში წესრიგისათვის დააწესა უფალმა. ქრისტესმიერი სიყვარულისათვის დააწესა და არა კასტალურ საფეხურებად. ასე რომ, ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი, მრევლი – თანასწორუფლებიანი შვილები ვართ დედაეკლესიისა.

ლუსტრაცია დაბმცვას

ბანხეთქილება ამაზაფს...

...ეპისკოპოსთა სიმრავლე საქართველოში, სარწმუნო წყაროებიდან გამომდინარე, ახლო მომავალში საქართვე

ლოს ეკლესიაში განხეთქილების შეტანას ემსახურება. ეს პოლიტოლოგთა და ანალიტიკოსთა დასკვნაა, რომელიც თანხვედრაშია საღად მოაზროვნე სასულიერო პირთა აზრთან. იმის მაგივრად, რომ ეკლესიამ სიყვარული დათესოს ხალხში და უპოვარნი დააპუროს, რელიგიურ-პოლიტიკურ და კასტალურ ღვარძლს სთესს რიგ მღვდელმთავართა წყალობით. ასე მაგალითად, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, სრულიად კომფორტულად გრძნობს თავს საქართველოში, რაც წმინდად რელიგიურ-პოლიტიკურ-ექსტრემისტული დაჯგუფებაა. მათი სახელები შავი ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში, თუ მათ არ შეინანეს თავიანთი მოღვაწეობა. რატომ დაირქვეს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, დღესაც გაუგებარია. ისინი არანაირ კავშირში არ არიან მართლმადიდებლობასთან. ყველაზე მჭიდრო კავშირში ისინი სხვადასხვა სპეცსამსახურებთან არიან, რაც უკვე შეუიარაღებელი თვალთაც ნათლად ჩანს. ისლა დამრჩენია სინანული ვუსურვო მათ და გარკვევა იმაში, თუ რას სჩადიან. დემერტმა უშველოთ.

დემერტმა დაგლოცოთ. გამოვითხოვ თქვენს ლოცვებს. P.S. დაინტერესებულებმა გადაავლეთ თვალი და გულსყურით დააკვირდით მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის მოღვაწეობას საქართველოში და მართლმადიდებელ მოქალაქეთა კავშირის მოღვაწეობას რუსეთის ფედერაციაში. დიდად განსხვავებული წარმონაქმნები არიან“, – წერს ვაშაკიძე.

საპ. იფშ.

ქართველი პოლიტ-ლიკუცები, რომლებიც პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ “შავი დედლებივით გაკეთდნენ”

საქართველოში ადამიანის პოლიტიკაში ყოფნა ფულის შოვნასთან ასოცირდება. ასეთ ასოციაციებს ისიც განაპირობებს, რომ ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ერთობ მოპუტკუნდა, როგორც იტყვიან, “გაკეთდნენ შავი დედლებივით”.

საინტერესო იქნება, თუ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს. დავიწყოთ ექს-პრეზიდენტ სააკაშვილით. პოლიტიკაში გამოჩენის დროს ჩვენი მიხეილი ერთობ გაღვივებული იყო. მეტიც, ბოროტი ენები ამბობენ, ჩანთით დიდ ქვას დაათრევდა (თუ ამას წაიკითხავს ჩემი მეზობელი ნინა ბებო, აუცილებლად დაამატებს – შავი ქვა და ჭირი მაგას), რომ ქარს არ წავლო (აქაც დაამატებს ნინა ბებო – ნეტა წავლო და დავეყვებინებო). სამაგიეროდ, პოლიტიკაში მოსვლისთანავე ნელ-ნელა ფერზე მოვიდა და ბოლოს იმისთანა დიპიც დაიდო, ბევრის მნახველ ქართველ თამადას რომ შემურდებოდა.

ყველას გვახსოვს პატარა გოკა გაბაშვილი, რომელიც პირველი არხის ეთერიდან “ივერიის გაბრწყინების” პირობას იძლეოდა. ივერიის რა გითხრათ, მაგრამ მისი წელის გარშემოწერილობა კი პოლიტიკაში მოსვლის პირდაპირ პროპორციულად გაიზარდა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ლამის მამამარჩენალის დიპსაც გაუსწრო, მაგრამ დროზე გაჩერდა, რადგან “ნაციონალურ მოძრაობაში” “იმის” დიპი წმინდათა-წმინდაა.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ გიგი უგულავაც, რომელიც ისეთ ტანზე იდგა, რომ ერთი ხანობა არჩევანი ჰქონდა – ან სამოდელო კარიერა დაეწყო და ერთ-ერთი პარიზული მოდის სახლის სახე გამხდარიყო, ანდაც პოლიტიკა აერჩია. საბოლოოდ რომელი აირჩია, ყველამ ვიცი და მისი ტანწერწერა უფლებიან ერთი დიპონი მერი მივიდეთ. სამაგიეროდ, ამ დიპის დამსახურებაა, რომ ერმა მისი რამ ვიცი, რასაც “უგულავას დიეტა” ჰქვია. თუ ოქტომბერ უცხო ცივილიზაცია მოვა დედამიწაზე და საქართველოზე რამეს იკითხავს, “ჩაკრულოსთან” ერთად აუცილებლად “უგულავას დიეტასაც” ახსენებენ.

დედადღეობის მინისტრებიდან მძიმე წონით კატეგორიაში სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხალური გადიან. ცოფვა გამხდელი ჯობს და მინისტრობამდეც არც ერთი მათგანი არ გამოიჩინოდა მოდელის პარამეტრებით. თუმცა, თუ ფინანსთა მინისტრის მიერ გამომშუკურებულ ბანკეტების სიას დაგუჯერებთ, ნოდარ ხალური კიდევ უფრო გამხდარია, ვიდრე ბანკეტების რაოდენობის და მენიუს მიხედვით უნდა იყოს.

პოლიტიკურად მძიმეწონიანი პოზიცია ჩაიბარა ჭიკაიძემ, მაგრამ, ვინაიდან დღეს მისი აქტივობები ძირითადად სტუდენტებთან შეხვედრითა და ანტი-ნარკოტიკული კამპანიის წარმოებას არ სცდება, ის აღნიშნულ პოზიციას მხოლოდ სხეულის მძიმე პოზიციით ამყარებს. მისი დიპის პარამეტრები არაერთხელ გამხდარა დაცინვის ობიექტი სოციალურ ქსელებშიც...

გუბაზ სანიკიძემ, მართალია მილიონი ვერ იშოვა, მაგრამ ეს მის წონას ნამდვილად არ დატყობია.

წონას არასოდეს უწიოდა კობა დავითაშვილიც, რომელიც მუდამ ზე-მძიმე კატეგორიაში იყო.

ქართულ პოლიტიკაში ერთი საინტერესო მოვლენაა, სახელად ლევან ბურქენიშვილი, რომელიც პოლიტიკაში მძიმე წონით მოვიდა, თუმცა ისე გაიღია, რომ 2016 წლის რიოს ოლიმპიადისათვის 73 ან 81 კილოში შეიძლება ვიხილოთ...

ეს მხოლოდ მცირეებია, რაც შეიძლება ითქვას. ჩემო არჩეულ და ძალით მოსულ პოლიტიკოსებო, პირში ლუკმას კი არ გითვლით, მაგრამ ამ ლუკმას თუ ჩემი ჯამიდან არ ამოიღებთ, ერთობ მაღლივი და გრძელი, თორემ თქვენი ჭამა-სმის გადამკიდვე, აივანზე გაფენილი ტყვალაპივით ვარ გამომშრალი და ორი ლუკმა არც მე მაწვენდა.

ლ. გობოლაძე

ლეგენდა “დედამოკა“-ზე

რა იცი შენი კუთხის შესახებ

ლეგენდა “დედამოკა“-ზე სრულიად უჩვეულო მოვლენაა კოლხეთის მიწაზე. ეს ლეგენდა კიდევ დასტურია იმისა, რომ “ია“ (არხაიო პოლისი, ნაქალაქევი) ნამდვილად, კოლხეთის სუვერენული ქალაქ-სახელმწიფო, ომის საშიშროების შემთხვევაში მოსახლეობის თავშესაფარი იყო. საკითხავია, რა უნდა იყოს მიწაზე, ხელშემწეობი პირობები ლეგენდის შეთხზვისა? ამ ისტორიული მოვლენის მოქმედი ხომ ადამიანია?

უნაგირას, ეკის და შეფის მთების რკალს ისე შემოუხდუდავს სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია, რომ მდინარე ტეხურისათვის შეუქმნია ბუნებრივი წყალსაცავი.

ტეხური ასეველი წლების განმავლობაში ბუნებრივ წყალსაცავში ჩაედინებოდა. თქმულების მიხედვით ეს წყალსაცავი სახელდებულია ნაქალაქევის ზედად. წყალსაცავში როცა წყლის დონე იმდენად აწეულა, რომ გადაულახავს ზედაპირი, იმდენი ურეცხავს უნაგირას მთა და უდენია აღმოსავლეთისაკენ, რომ უნაგირას მთაზე გაუქნია დიდი ხევი, რომლის ხიდრმე ზოგ ადგილას ღამის ოცდაათ მეტრს აღემატება. წყლის ძალას გარეთ გამოუტანია მიწა, ღორღი, დასულა კირქვის ლაპლაპა ზედაპირზე და მომწვედუელა ამ კლდის ვიწრო ნაპირებს შორის. ასე გაუხსნია წყალს განვირად უნაგირას მთა და ბუნებრივ წყალსაცავში მომწვედუელს გაუქნია გზა კოლხეთის დაბლობისაკენ და შავი ზღვის აუზში უპოვია საბოლოო თავშესაფარი. სწორედ ამ ხევით უსარგებლია მაშინდელ ადამიანს, ჩამოუწმენდია მისი ნაპირი ტეხურის გასწვრივ და გაუკეთებია საცალფეხო ბილიკი, დაახლოებით სამი კილომეტრის სიგრძეზე, და ამ ბილიკის საშუალებით კოლხებს უნაგირას მთა

გადაულახავთ და მთის იქით ვაკეზე ყოფილ წყალსაცავისაგან გამონთავისუფლებულ მიწაზე დედაწულიანად დასახლებულან.

მდინარე ტეხური თავისი უღამახესი ხევით ქალაქ-სახელმწიფო “ია“-ს აკრავს სამხრეთ-დასავლეთით და თავისი მაღალი შეეწული კედლით მიუვაღს ხდის მას ადამიანისათვის.

ოდესღაც კოლხეთის ქალაქ-სახელმწიფოს “ია“-ს მტერი გარს შემორტყმია. მტერი, რომელიც დარბევას და დამორჩილებას უპირებდა კოლხებს, სპარსელები უნდა ყოფილიყვნენ, ასე შემორჩა კოლხების მეხსიერებას სპარსელების მტრობა.

მოსახლეობა ოჯახის წევრებით და სარწმინო ქალაქ-სახელმწიფოს გაღავნის შიგნით გროვდებოდა და იყრიდა თავს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

ჩრდილოეთიდან წამოსული მოსახლეობის ჯგუფი, რომელთაც თავი უნდა შეეფარებინა ქალაქ-სახელმწიფოს გაღავნის შიგნით, “მიკოტახირის“ გზით ბილიკს მიუყვებოდა თურმე, დაღლილობის გამო ორნაე ჩამორჩებოდა თავისიანებს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია მტრის მოთვალთვალე რაზმს. როცა ფეხმძიმე, უმწეო ქალმა შენიშნა თავგამსხმელები იმედ-დაკარგულმა მოიყარა მუხლები, ალაპრო ხელები ზეცისაკენ და შეევედრა მთვარის ღვთაებას “ნანა“-ს:

– “ნანაე“ ყოვლის შემძლეო, დამიფარე განსაცდელისაგან, ნუ ჩამაგდებ მტრის ხელში ან აქვე მიიღე ჩემი სული“-ო.

ისმინა რა უმწეო მღვდამარეობაში ჩავარდნილი ფეხმძიმე ქალის ვედრება, მთვარის ღვთაება “ნანა“-მ განსაცდელში ჩავარდნილი ქალის ფეხებქვეშ უშალ დასძრა მდინარე ტეხურის ნაპირები ერთმანეთის შესახვედრად და, როცა მიუახლოვდნენ ეს მოძრავი სალი კლდეები

ერთმანეთს, ფეხმძიმე ქალი მარჯვენა ნაპირიდან გადასულა მარცხენა ნაპირზე. ამის შემდეგ ნაპირებმა იწყეს საწინააღმდეგო მიმართულებით მიმართულებით მოძრაობა და სანამ მტრის რაზმი ნაპირს მიუახლოვდებოდა, მდინარის კედლიანმა ნაპირებმა მოასწერეს იმდენ მანძილზე გაშლა, რომ ადამიანი გადასვლას ვერ შესძლებდა. შევიწროებულ მღვდამარეობაშია დარჩენილი მდინარის ნაპირები ამ ადგილას დღესაც.

საფრთხეს გარიდებული ფეხმძიმე ქალი მეციხოვნეებმა ხელით აიყვანეს გაღავანზე და გადასვეს ქალაქ-სახელმწიფოს “ია“-ს გაღავანშემოვლებული ტერიტორიის შიგნით. ასე გადაარჩინა ფეხმძიმე ქალი დაღუპვას მთვარის ღვთაება “ნანა“-მ.

ამ უჩვეულო მოვლენის უკვდავსაყოფად, ადგილს, სადაც მდინარის ნაპირები მოძრაობაში მოვიდნენ და საშუალება მისცეს ფეხმძიმე ქალს ერთი ნაპირიდან მეორეზე დაუბრკოლებლად გადასულიყო, მადლიერმა შთამომავლობამ “დედამოკა“ უწოდა. ქართულ ენაზე შეიძლება გადაითარგმნოს შემდეგნაირად, სიტყვა დედა, საერთოდ, მდებარეობს სქეს ნიშნავს, ესე იგი ქალს, ხოლო მოკა – ფეხმძიმეს, ამრიგად, სიტყვა “დედამოკა“ ნიშნავს ფეხმძიმე ქალს.

ამ ლეგენდაში მრავალადა ადამიანის გონების ფანტაზიის ნაყოფი, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ამ თქმულებაში არ ერთოს სინამდვილის რაიმე ფაქტობრივი ნაწილაკი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ლეგენდა “დედამოკას“ შეთხზვის აუცილებელ პირობას საფუძვლად დაედო ძველი კოლხეთის დედაქალაქის – ქალაქ-სახელმწიფოს ფუნქციონირების ადგილმდებარეობა, მდინარე ტეხურის და მისი ხევის მარცხენა ნაპირზე, რომ ის თავშესაფარია პოლისის ახლო-მახლო მოსახლეობისათვის, თავისი ნაგებობით დიდებულია,

არავის ძალუძს მისი დამარცხება და არსად მსგავსი არ მოიპოვება.

“დედამოკა“ სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული ლეგენდაა (სამწუხაროდ, ის თანდათან მივიწყება ეძლევა). ბავშვი ცოტას წამოიზრდებოდა თუ არა, ყველა მეგრელი დედა თავს ვაღდებულად თვლიდა ესწავლებინა შეილისათვის ლეგენდა “დედამოკაზე“.

ტეხურის კალაპოტი იმ ადგილას, სადაც “დედამოკას“ უწოდებენ, მეტისმეტად შევიწროებულია. მდინარე ამ ადგილზე დიდი სისწრაფით მიედინება. გადმოცემით და ხალხში გავრცელებული რწმენის მიხედვით ამბობენ, რომ ამ ადგილზე კლდე უძირდა და ტეხური გადმოშვერილი კლდის ქვეშ მიედინებოდა.

ბევრ ახალგაზრდა ვაჟაკს უცდია აქ თავის ბედი ენახა, მართლაც უძირდა აქ კლდე თუ არა, მაგრამ როგორც გადმოცემა გვამცნობს, არცერთ მათგანს დაღუპვა არ აცდენია. ტეხურის სწრაფ დინებას ვაჟაკების მაძიებელი კლდის ნაპირისათვის მიუსრესია და სიცოცხლისათვის გამოუსალმებია. ამიტომ “დედამოკასთან“ მდინარეში ჩასვლას ვერაფერს ბედავდა.

ლეგენდის შეთხზვის თარიღი არავინ იცის. ვფიქრობ, რომ ის განეკუთვნება აიკეტის მეფობის ეპოქას.

ამბროსი კილასონია



“კეთროვანებით ბოიჭურებენ იეჰოვას მოწმიებს“

“ის ჯობია, ახალგაზრდები მეგრულად სიტყვას რომ არ ამბობენ და ამ ენაზე საუბარი დაბადდ ღონედ მიანინათ?“

“კეთროვანებით გვიყურებენ იეჰოვას მოწმიებს“

“ბევრი ოჯახი ვიცი, მამა ან შვილი ივლოველია და ოჯახის სხვა წევრს წამლისა და პურის ფულს არ აძლევენ“



ღმერთი და ჩვენც როგორმე ავიტანთ. მეგრულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურა რამდენიმე თვის წინ მოგვაწოდეს. უბრალოდ, ახლა გავრცელდა ხალხში. ხალხს უარყოფითი ამბები სჭირდება, რომ ბოღმა ანთხიონ. რა არის იმაში ცული, თუ მეგრულ ენაზე გამოიცა, ადგილობრივი მოწმიები უკეთესად გაიგებენ აზრს.

– ადრე კარგად არ ესმოდათ?..

– რწმენა გულისხმით უფრო ესმის ადამიანს, ვიდრე ცალკეული სიტყვებით, მაგრამ როდესაც არის საშუალება, რატომაც არ უნდა ეთარგმნათ?.. აბა ის ჯობია, ახალგაზრდები მეგრულად სიტყვას რომ არ ამბობენ და ამ ენაზე საუბარი დაბადდ ღონედ მიანინათ? ისედაც მტრებით გვიყურებდნენ და ამ წიგნების შემდეგ, ღამის კედელი შემოგვაშენეს. კეთროვანებით გვიყურებენ... ყველაფერში ნეგატივს რატომ ეძებს ხალხი, ცოტა მეტი სიკეთე და სიყვარული გეჭირდება. ამისთვის კი სწორი რწმენა აუცილებელია. მეგრულ ენაზე სააგიტაციო წიგნის გამოცემის გამო აღშფოთებას ვერ მალავენ ხობში მცხოვრები მართლმადიდებლები.

რუსულან შირია, ხობის რაიონის მკვიდრი:

– თავს გავუვიდათ ამ ბოლო დროს. ღამის სახლებში გვივარდებოდა. დაფინანსება აქვთ, რამდენიც უნდათ. ბევრი ოჯახი ვიცი, მამა ან შვილი ივლოველია და ოჯახის სხვა წევრს წამლისა და პურის ფულს არ აძლევენ. მეგრულ ენაზე პურნალების გამოცემას ორი საფუძველი აქვს, – პირველი: რაც შეიძლება მეტი ადამიანის მოზიდვა, – განსაკუთრებით პატარა ბავშვებსა და მოხუცებსზე ნადირობენ. ათას რამეს პირდებიან, ოღონდ კი ჩაითრიონ. ახლა მეგრულ ენაზეც გაავრცელეს, ესეც მეორე საფუძველი – ვითომ თავიანთი კუთხის პატრიოტები არიან და ენას უფრთხილდებიან. არადა, მათთვის ყველაზე მთავარია, ხალხი დააბრმავონ და დააყრუონ და ამას წარმატებით ართმევენ თავს... თავიდან კი ვხუმრობდით, მაგრამ ახლა საშინო ფორმას იძენს უკვე ეს ყველაფერი და სახუმარო ნამდვილად არ არის. ძლიერს რწმენისკენ შემობრუნდა ხალხი და ეკლესიაში დაიწყო სიბარული, ახლა კი ესენი ურევვენ თავგზას...

მ. მაისურაძე

გაზეთ “ილორის“ კომენტარი: ძალიან დიდ შეცდომას ვუშვებთ, როცა ვფიქრობთ, რომ ნებისმიერი სექტის საქართველოში გაძლიერება მხოლოდ რამდენიმე ქრისტიანულ მოწმიას ადამიანს ინტრიგა გახლავთ. არა, ბატონებო, თუნდაც სამეგრელოში იეჰოვას მოწმიების მომძლავრება და მათი მდიდრულად გაფორმებული ლიტერატურის მეგრულ ენაზე თარგმნა-გამოცემის უკან კუთხისათვის აგვიტანს მიერ სეპარატიზმისა და საქართველოს გახლეჩის დაბრუნებაზე ბევრად მეტი საშიშროება იმდღეა.

ძლიერს გადავიტანეთ ბრალდებების კორიანტული ბიბლიის მეგრულ ენაზე თარგმნის თაობაზე, რაც თითქოს წინასწარი განზრახვით კეთდებოდა იმ ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მიერ, ვინც საქართველოს დასუსტება-დაშლით იყო დაინტერესებული, რომ ახალი ამაზრზეი ფაქტის წინაშე აღმოჩნდით – მეგრულ ენაზე გამოიცა მდიდრულად გაფორმებული წიგნი “ქუმურჩილეთ ღორონთს“ (“მოუსმინეთ ღმერთს“), რომელიც უფასოდ ურთივდება სამეგრელოს მოსახლეობას. თუ წარმოვიდგენიათ, როგორც ყაყანს ასტეხენ ფუტკარამ-გამცემი-ჯაფარაძის “ტრი-უმვირატო“, რომელთაც ყოველივე მეგრული წინააღმდეგ გალაშქრება წმინდა საქმედ მიანინათ და იმდენიც კი მოახერხეს, რომ სამეგრელოს მიერ საქართველოსაგან “განდგომის საფრთხე“ თვით უწმინდესისა და უნეტარესის ერთ-ერთ ეპისტოლეშიც კი შეიტანეს.

არა და, თავად ეს არაკაცები არიან ლეონტი მროველის კურსის ერთგული მიმდევრები, საქართველოს ისტორიის გამყალებლები და ქვეყნის ერთიანობის ბურჯის მომრღვევაში უჭვმიტანალები.

ნუთუ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი უჭვს შეიტანს იმ გარემოებაში, რომ ეთნიკურად წარმოშობით ებრაელი უსაქმურის, ამერიკის პენსილვანიის შტატის მკვიდრ ჩარლზ რასელის მიერ, 1879 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბებული “იეჰოვას მოწმიების“ სექტა ზოგადად მსოფლიო მართლმადიდებლობის წინააღმდეგ უწინააღმდეგე საბრძოლველი შეიქმნა, ბიბლიის შემსწავლელთა წრის ჩამოყალიბების ეგიდით.

ამ სექტის მესვეურები დიდძალ თანხას, რაც გაუაზრებლად, მაშინაღუდად მათკენ მიმართავს შიმშილისაგან დაოსებული ხალხის სიმპათიებს.

ასე რომ, “იეჰოვას მოწმიეთა“ სექტისადმი საქართველოს მოსახლეობის თუნდაც მცირე ნაწილის ლტოლვა გახლავთ კუჭის-მიერი გონის კარნახი და არა ღვთისმიერი გონის კარნახით გამოწვეული ფენომენი. მაგრამ საშიშია, უადრესად საშიშია ამ კატეგორიის ანტიქრისტიანთა პარპაში საქართველოში მათთან დამოკიდებულებაში მეტად ფსიხილები და შეურთებლები უნდა ვიყოთ!

ჩვენ არავის მოვუწოდებთ საიმისოდ, რომ თავიპირი ვამტვრიოთ განსხვავებული რელიგიური და სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს და ყოველი ჯურის ანტიქრისტიანობის, რადგან, ჯერ ავადსასენებელი “ნაციონალების“, შემდეგ კი “მეოცნებეების“ ძალისხმევით შედეგად საქართველოში ღამის მართლმადიდებლური ეკლესია გამოცხადდეს სექტად, ანტიქრისტიანობის მოღვაწეობისადმი ნებისმიერ ხელისშეშლა კი სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

მაგრამ ვერაფერს ავგვიკრძალავს იმას, რომ ყოველი ჯურის ანტიქრისტიანობა და საქართველოს ძლიერების დაკნინების მსურველები “კეთროვანებად“ ან “შიდსიანებად“ ჩავთვალოთ და ამ პოზიციიდან გვეკონდეს მათთან მოქალაქეობრივი და რელიგიური დამოკიდებულება!

უნდა შევანებინოთ კუჭის კარნახს გამოკიდებულ ამ არარაობებს, რომ მათი სექტანტურ-რელიგიური ორიენტაცია არის არა “ჭეშმარიტება“, არამედ ჭეშმარიტებისაგან განდევნა!

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოგაწვდით დაწვრილებით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს იეჰოვას მოწმიეთა სექტა, რომელიც მართლმადიდებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა, ბიბლიის შემსწავლელთა წრის ჩამოყალიბების ეგიდით.

ასე რომ, ნუ გავიკარებთ ახლოს ამ სენით მოწამულ ჩვენს თანამემამულეებს და ვაგრძნობინოთ, რომ ჭეშმარიტება აქვე დევს, სიონში, სვეტიცხოველსა თუ სხვა სალოცავებში და არა აშშ-ში.

სამემბროლოდანი



ინტელექტუალური კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ფინალი

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა ინტელექტუალური კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ფინალი. ფინალში მონაწილეობდნენ უმცროსი ასაკის სასკოლო გუნდები: „ედემი“ – ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მისის საჯარო სკოლა (პედაგოგი ნინელი (მზია) ხუბია; „ცისარტყელა“ – ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ტოცის საჯ. სკოლა; „მოწყაღე სამარტელი“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ღვთისმშობლის სახ. გიმნაზია; „თაბორი“ – ვანის მუნიციპალიტეტის წმ. ნინოს სასკოლოს გიმნაზია; „ლაზარე“ – თიანეთის მუნიციპალიტეტის №1 საჯ. სკოლა; „ძლევაი“ – ქ. რუსთავის №4 საჯ. სკოლა.

ინტელექტუალურ კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ფინალურ თამაშის კურსის წევრები იყვნენ: ცაგერისა და დუნტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულონების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი თამარ არჩუაძე და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საკონკურსო პროგრამების სპეციალისტი მარიამ მემველიანი.

ფინალური თამაში დამთავრდა შემდეგი შედეგით:

I ადგილი – გამარჯვებული გუნდი – „მოწყაღე სამარტელი“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ღვთისმშობლის სახ. გიმნაზია.

II ადგილი – „ძლევაი“ – ქ. რუსთავის №4 საჯ. სკოლა.

III ადგილი – „ლაზარე“ – თიანეთის მუნიციპალიტეტის №1 საჯ. სკოლა.

IV-VI ადგილები შესაბამისად, შემდეგმა გუნდებმა გადაინაწილეს: „თაბორი“ – ვანის მუნიციპალიტეტის წმ. ნინოს სახ. გიმნაზია. „ედემი“ – ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მისის საჯ. სკოლა. „ცისარტყელა“ – ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ტოცის საჯ. სკოლა.

I ადგილზე გასული გუნდი „მოწყაღე სამარტელი“ (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ღვთისმშობლის სახ. გიმნაზია) წმ. მიწის მოსალოცად გაემგზავრა იერუსალიმში. II და III ადგილზე გასული გუნდები „ძლევაი“ (ქ. რუსთავის №4 საჯ. სკოლა) და „ლაზარე“ (თიანეთის მუნიციპალიტეტის №1 საჯ. სკოლა) ტაო-კლარჯეთის მოსალოცად გაემგზავრებიან. IV-VI ადგილებზე გასული გუნდები კი, სამი დღით საქართველოს ერთ-ერთ ეპარქიას მოილოცავენ.

ფინალში გასულ ყველა მონაწილე გუნდს, გუნდის მომღერალებს, სკოლას და გუნდის მომზადებისათვის მასწავლებლებს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრისგან პატრიარქის ავტოგრაფით სიგელები გადაეცა. ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ მეექვსე წელია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ულოცავს პირველი მისის საჯარო სკოლის გუნდ „ედემს“ „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ფინალში მონაწილეობას და უსურვებს წარმატებებს.

ბამოსაშვები ზეიმი ხობის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაბა-ბაღვში

ხობის მუნიციპალიტეტის 30 საბავშვო ბაბა-ბაღვში გამოსაშვები ღონისძიებები ჩატარდა. ხობის 1 (მთავარი სპეციალისტი – მარინა შონია, აღმზრდელ მასწავლებელი – ირმა ხურცილავა, მუსიკის მასწავლებელი – ვიქტორია თოდუა) და პირველი მისის საბავშვო ბაბა-ბაღვში (მთავარი სპეციალისტი – ლელა ქანთარია, აღმზრდელ მასწავლებელი – დალი ქარცხია, მუსიკის მასწავლებელი – მაკა კვიციანი) პატარები მაცურებლის წინაშე ქართული პოეტების შემოქმედებასთან ერთად სხვადასხვა მუსიკალური ნომრებითა და პიესებით წარსდგნენ. მუნიციპალიტეტის მამულებით საჯარო სკოლაში 2014-2015 სასწავლო წელს საბავშვო ბაღდამთავრებული 260 პატარა ჩაირიცხება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ღონისძიებებს ყოველდღეობა ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიის მოძღვარი მამა იაკობი (სურმაგა), ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფერიდო გოგია და ა.ი.პ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდლო გაერთიანებას“ დირექტორი ელისო კვიციანი და ესწრებოდა. სტუმრებმა საბავშვო ბაღის პედაგოგიურ კოლექტივს დაუღალავი შრომისათვის მადლობა გადაუხადეს და პატარებს გზა დაულოცეს. მამა იაკობმა (სურმაგა) ზეიმის მონაწილეებს საჩუქრად ხატები გადასცა.

კოოპერატივების განვითარებასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრა

10 ივნისს სენაკს ეწვია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშველაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტივო დარბაზში ადგილობრივი თემთა მართველობის წარმომადგენლებთან და კოოპერატივის განვითარებით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრაზე მან ისაუბრა კოოპერატიული ბიზნეს მოდელის უპირატე

სობაზე, საქართველოში კოოპერატივებისა და ასოციაციების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, საქართველოს მთავრობის პოტენციურ სუბსიდიებზე, საგადასახადო სტიმულებზე, საკრედიტო და საგრანტო პროგრამებზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის ტექნიკური დეტალები, სახელმწიფოს მხრიდან კოოპერატივების ხელშეწყობისთვის დაგეგმილ შეღავათები და პროგრამები. სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრა საინფორმაციო ხასიათს ატარებდა.

ფოლკლორის ფესტივალი „ონოგურისი 2014“ მარტვილში

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ აბედათის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს ციხე-დარბაზში ჩატარდა ფოლკლორის ფესტივალი „ონოგურისი 2014“. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნა მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ შექმნილი ნამუშევრები: ნახატები, ნაქარტები, გობელები, ნაქერები, ხეზე და ქვაზე კვეთის ნიმუშები, მოეწყო ლიტერატურული კონკურსი: „დაწერე შენი სოფლის მატინე“. ფესტივალში მონაწილეობდნენ სოფ. კურხუს, ლედეგებს, ლეცი-ცხვიის, ტალერის, აბედათის, ბანძის საჯარო სკოლების და კერძო სკოლა „სხივი“-ს მოსწავლეები, ზ. ანჯაფარიძის სახელობის საშუალო სკოლის ბიჭუნათა ანსამბლი. მონაწილეებს გადაეცათ სიგელები. ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული ათი საუკეთესო ნაშრომის ავტორი დაჯილდოვდა პრიზებით. ფესტივალი გაიმართა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით.

სერბი ჰილიას 100 წლის იუბილე

მარტვილის მუნიციპალიტეტში, ჭყონდიდელი მიტროპოლიტ პეტრეს ლოცვა-კურთხევით აღინიშნა ჩვენი რაიონის სახელგანთქცილი შეილის, შესანიშნავი მწერლის ბატონი სერბი ჰილიას 100 წლის იუბილე. მშობლიურ კუთხეს ესტუმრნენ ბატონი სერბის შვილები, მწერალი რევაზ მიშველაძე, ისტორიის მეცნიერებთა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა, ლიტერატურის კრი-



ტიკოსი, პროფესორი სოსო სიგუა, რეჟისორი და საქვეყნოდ ცნობილი ფილმების – „გოდრება“ და „მონანიება“ – სცენარის ავტორი რეზო კვესელავა. ბატონი მალხაზ ბაძაღვა და სხვები. მწერლის ხსოვნას პატივი მიაგეს ჩვენმა ახალგაზრდებმა, სწორედ მათი მონაწილეობით გაიმართა ლიტერატურული საექსპოზიციო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ესპანეთში მოღვაწე მეცნობარანომ ქალბატონმა ლალი ჰილიამ. ღონისძიება ჩატარდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით.

ჰოეზის კუთხე

მუა მარბალური ბებრა-სიტყუიში?

მი მი რე დო მი მიში რე,
დო მი მის, გ,
მინც, უჩქ, დო მინც, ვაუჩქ,,
მინც, იფრელი შ,,
მინში ჩხოუ მაჭვალე რე,
მინც, ვაულუ ტ,,
მინ, რძელე, რე დო მინც, შქირენ-
ით,
ქოქა აფუ ჭ,,
მინში „უღეს, მუთუნი ვარე,
ნამთინეს, ძ,,
„ვერე ტყვია აბრაგაში
სოღა-სოღა ლ,,
ტყარი ღეჯის, ოჭკუმალო
უსხუნ, ჭყონში, კ,,
შხვა ჯალეფც, სისქეამეშენ,
ღდას, ვანასქიდ, ც,,
მენქელიქ, სუმარის,
ჯგ, რი დო სქემამი ჩ,,
ულირ, წანას, მუთა მიღულ,,
მარა ველუქ, წ,,

ეპა ზარანდია

ნამთინე ბებრა – სიტყუი-ში ნღურია ეპა ზარან-დიას

ჯგ, რი ძღაბი „ოფექ, მარა გოჭყ-
ორდ,
მუთი ღორონთქ, დ,,
სუმ, არე მუს, უმარგ, დო
მუ ძალათ, ბ,,
გიფიქრებ, ნო ქიპიდიოთ,
ვარდას, სუფთა პ,,
ვარა ვარდას, რინაში წყარი
– წკონდა, რგილი ნ,,
მუს, პირუნდი ვარდ, კონი
ღორონთიშე თ,?
ღორონთი-სუმ, ა მუს არჩინუნდ,
ვარდ, კო ტომბა მ,?
ირო ცქვაფა-ქვერსემაფა...
მიქ, თქვა დო მა პ,,
თენა მუთუნ, ი, იიდუო
ვარდ, კო ნოთე – ჟ,?
ოღალიში ჩათხინაფა,
ჩოლუა დო ს,,
მუთ, არსებენც, თე სუმ, არე,
მუქ, რე თენა ქ,?
-მუთ, დო უჭყვადუო მეურც,
თ, რუა დო ფ,,
იბერქ, დუდიოთ, ოჭიშით,
იფრელ, თენა ლ,,
ისოფუ დო ვამიშვანდუ,
მარგებელო ხ,,
მარა შქეთოთუ, წანაქ, მიკილ,
თენა ფულირ, ძ,,
გინწყ, ნი ანწი ეს, ვახვარ,
შურბუმა ვარ ყ,,
იფრელი ათე სიმართეს
ბეჭედანც, რ,,
ბრედც, შხვამ, ჯგ, რი ახარენც,
ბრედც, შხვაში ვ,,
ქვერსემი ცოდა მეუჯღუნც,
მიქ, იბერი ც,,
მარა ქვერსემაფა ხვად,
მიქ, ბად, დო ხ,,
ანე თემი მაჭვარაქქ,
დო შურდუ დო ჯ,,
ხოლო ცქვაფა-ქვერსემაფა
თის,, მიქ, თენეფ, ,,!

კუპური ფიფია

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვის ბგავრთხილას!

დაახლოებით ერთი თვის წინ, 2014 წლის 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – საქინფორმის მთავარმა რედაქტორმა არნო ხიდრევიშვილმა ინტერვიუ მისცა საინფორმაციო სააგენტოს REX-ს და ИНФОРС-ს, გაზეთი Касპი-ის და ყოველკვირეულ „ახავალ-დასავალს“, სადაც შეშვოთებას გამოთქვამდა იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემთხვევაში ელოდებოდა საქართველოს (ციტატა):

„საქართველოსთვის, ევროკავშირთან ვაჭრობის თავისუფალ (დაუბეგრებ) რეჟიმზე გადასვლის პირობებში, ისევე დაიხურება რუსეთის ბაზარი, სადაც მხოლოდ 2013 წელს გაიყვანა 22 მილიონი ბოთლი ღვინო, ე.ი. 96%-ით მეტი, ვიდრე 2012 წელს.“

და აი, ზუსტად ერთი თვის თავზე, 2014 წლის 26 ივნისს, ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინ-

ისტრმა სერგეი ლავროვმა ასეთი განცხადება გააკეთა: „რუსეთი მზადაა უკრაინასთან, მოლდოვასთან და საქართველოსთან კონსულტაციებისთვის ამ ქვეყნების ევროკავშირთან მოსალოდნელ ასოციირებასთან დაკავშირებით, თუმცა, მისი ეკონომიკისთვის უარყოფითი შედეგების შემთხვევაში მიიღებს თავდაცვით ზომებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების შესაბამისად.“

ლავროვმა ასევე გაიხსენა, რომ ხელშეკრულება თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ მსო-ს ფორმატში კვლავ მოქმედებს რუსეთს, უკრაინასა და მოლდოვას შორის, ხოლო საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ არ არის მსო-ს წევრი, კვლავ ინარჩუნებს მონაწილეობის უფლებას რიგ სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში. როგორც უკვე იტყობინებოდა საქინფორმ, რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებში ექსპერტთა კონსულტაციები გაიმართება 2014 წლის ივლისში.

სამინფორმ

სახალხო მოძრაობა „სამემბროლო“, აიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“, გაზეთები „სამართლიანი და მსოფლიო“ და „ილორი“ მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალება ცნობილი ქართველი იურისტი, სამართლისა და სოციოლოგიის დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ანზორ ბაბიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს

პოლიმიკა შრიად აქტუალურ საკითხებზე

პატონ ელემ იხორიას ნაშრომზე – “გაორბილი თეორია” მიძღვნილი ზოგადკაცობრივ პრობლემაზე – მეტყველებისა და აზროვნების ჩასახვა, წარმოქმნა-განვითარება მიღებული აქვს რეცენზიები ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგია-ბიოლოგიის ინსტიტუტებიდან, რომელსაც ხელს აწერს ცხრა დოქტორი – მეცნიერების აღიარებული მოღვაწენი. ამ საკითხს მიუძღვნა ავტორმა ქვემოთ ახალი ნაშრომი “პოლიმიკა”.

ფილოსოფი – ალოგიზმი პირველი: აღნიშნულ ციტატათა შინაარსობრივი მოცემულობები ურთიერთთან და ამ საკითხებში უკვე არსებულ ცოდნასთან მიმართებით ალოგიზმის სრულ კასკადად გადაიქცევიან, როგორც კი შევეცდებით მათ გამოყენებას, პირდაპირ გაგებაში, ენგელსის ხელოვანიშული თეზის – **“შრომამ შექმნა ადამიანი”**, გასამყარებლად. თუ კარგად დავაკვირდებით, მარქსისა და ენგელსის ციტატებში შრომა და ადამიანი ერთიანია, ისინი იზოლირებულად არ არსებობენ. აშკარად საწინააღმდეგოს ამტკიცებს ციტატა ენციკლოპედიიდან, რომლის მიხედვით **“...საზ. ისტორიას წინ უძღოდა შრომითი ჩანასახები... შემდეგ, ავსტრალიოთეისის ნაპოვებში მონდა “...ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებაზე გადასვლა, რაც დაახლოებით 1,5 მლ. წლის წინათ უნდა მომხდარიყო...”** და მხოლოდ **“...პითეაგორასის საფეხურზე შრომის იარაღების სისტ. დამზადებამ (და გამოგონებამ) გამოიწვია უძველესი ადამიანის ფსიქიკის რთული გარდაქმნა და შექმნა მეტყველების აღმოცენების საფუძველი...”** ანუ გამოდის მხოლოდ 0,5 მლ წლის წინ, **შელ-აშელ კულტურათა პერიოდში (იგივეს ამტკიცებს ენგელსი(ც), მონდა მეტყველი არსების – ადამიანის წარმოშობა. ეს მაშინ, როცა მანამდე, ჯერ კიდევ ერთი მლ. წლის წინ “...ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებას...”** ანუ იარაღის დამზადებას აწარმოებდა. მარქსიზმის სრულიად ერთსწორი, – დოგმატურ აყვანილი დასკვნით კი ადამიანის უმთავრესი განმსაზღვრელი ატრიბუტი სწორედ რომ იარაღის დამზადების უნარის ქონაა.

ისტორიკოსი – ხაზგასმით უნდა შეინიშნოს ის, რომ თუ რას დავარქმევთ უკვე აღმოცენებულ შრომას – ჩანასახივანს, პრიმიტიულს და ა. შ. მნიშვნელობა არა აქვს. – თუ ის შრომა აუცილებლად გულისხმობს ასევე მისხავე შესატყვისს – ჩანასახივანს, პრიმიტიულს და ა. შ. შემსრულებელს – ადამიანს. მას შემდეგ რაც მას ადამიანმა მიაგნო, ნებისმიერი შრომის სახეობის არსებობა ადამიანის გარეშე სრული ფილოსოფიური ალოგიზმია. იგივე ითქმის მეტყველების ადამიანისაგან დაცილების თაობაზე. აი ამაშია პირველი ალოგიზმის არსი.

ფილოსოფი – სწორია, რადგან: შრომა შედგება, განუპირობებელი მიზეზი (ფაქტორი) შრომისა კი ადამიანია; შრომა ფუნქციონირებს, ფუნქციონირებს კი ადამიანია; ადამიანი ტვინი და არა ხელები, რადგან ხელებს ტვინი ამოძრავებს; შრომა ტვინის ნაწილია.

ფსიქოლოგი – ალოგიზმი მეორე: მეცნიერულად დადგენილია, რომ ადამიანის-

მაგვარნი ზოგჯერ არაორდინალურ სიტუაციებში, ზოგჯერ კი სპონტანურად აზრის შემცველ ქმედებებს ახორციელებენ. სრულიად მოსალოდნელია, მათ ამ ყოფით ფიზ. ქმედებებს აზრი აესხა ანუ ცხოველებს ხელუბანი მათი აზრში გარდასახულიყო. არსებობს ასეთი თეორიაც: ფრანგული ვალონეს ფსიქოლოგიური სკოლის იდეების მიხედვით, მოხდა **“ქმედებიდან აზრზე გადასვლა”**; **“ქმედებაზე აზრის აზრად”** (რ. ნათაძე). ეს ასეა მარქსისტული შრომის თეორიის მიხედვითაც, მაგრამ ადამიანის მეტყველება ამგვარი ქმედებიდან ვერ წარმოიქმნებოდა, რადგან შედეგი არა გვაქვს ის, რაც ამ თეორიების მიხედვით, ამგვარი ქმედებებიდან უნდა მიგვედო: ქმედებას რომ აზრი მოეცა და ამ აზრის მეტყველებითი გამოხატვა (აღნიშვნა) განხორციელდებოდა, აუცილებლად იმ ორგანოებით, რა ორგანოებითაც ქმედება სრულდებოდა, უნდა მომხდარიყო შესტიკულიცია ამ ქმედებისა. რაკი მეცნიერებაში დამტკიცებულად, დასაბამიდანვე, ფიზ. მოქმედებათა უპირველესი საშემსრულებლო იარაღი ხელია, მ. ე. აზრის გადმოსაცემად ანუ სამეტყველოდ ხელის შესტიკულიცია უნდა გვექნოდეს. ეს იქნებოდა შესტიკების ენა. ხომ არსებობს კიდევ შესტიკ-მიმიკის თეორია, მაგრამ გარდა იშვიათი გამონაკლისისა, დღეს გვაქვს სულ სხვა შედეგი – ესაა ბგერითი ენა ანუ ბგერებისაგან შედგენილი სიტყვებით მეტყველება.

მეორე ალოგიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მეტყველება ქმედებებიდან ვერ წარმოიქმნებოდა, რადგან შედეგი არა გვაქვს ის, რაც ამ თეორიების მიხედვით, ამგვარი ქმედებებიდან უნდა მიგვედო:

ფილოსოფი – ალოგიზმი მესამე: შრომაც და მეტყველებაც კონთების ანუ ნერველ-მუსკულარული მოძრაობებია; მეტყველება არის სამეტყველო აპარატის ორგანოთა მეზობლობაში ენის სამეტყველო მოძრაობა, ხოლო ფიზ. შრომა კი, ძირითადად ხელების ნერველ მუსკულარული მოძრაობებია. შრომის შემსრულებელ ორგანოებს – ძირითადად ხელებს თუ სხვა ორგანოებსაც შრომაში მონაწილე საყრდენ – მამოძრავებელი აპარატიდან და ასევე სამეტყველო ორგანო ენას თავის ტვინში გაანაწილო თავიანთი სამმართველო (საანალიზო) ცენტრები. ე. წ. ანალიზატორები. თუ გამოვირიცხავთ მთლიან ჩართულობას ქერქულ ბოლოსი თავის ტვინისა, ისინი დამოუკიდებელი (ავტონომიური) არიან: ხელების მოძრაობის ცენტრი (მოძრაობის ანალიზატორი) ანუ მოსკოვის ტვინის ინსტიტუტის მიერ დადგენილ ტვინის ციტო-არქიტექტონურ რუკაზე ველი ნომრით 6 ვერ განახორციელებს ენის მოძრაობებს და პირქით – ენის (მეტყველების) ცენტრი (ველი ნომერი 44-45) ვერ განახორციელებს ხელების მუსკულარულ მოძრაობებს.

ფსიქოლოგი – მეტყველების ჩასახვა იწყება იმ პერიოდში, როცა ენის სამეტყველოდ ამოძრავებელი ცენტრი ანუ მეტყველების ცენტრი ჯერ არ არსებობს. ის ჯერ უნდა ჩანასახოს, რომ ენამ სამეტყველო მოძრაობები გააკეთოს. ამიტომ ენას გარდა კვებითი მოძრაობებისა, სხვა სამეტყველო მოძრაობები არცეკვლიან ვერ ძალუხს, გასაგებია, რომ არსებობს მთლიან-

ნად თავის ტვინის, მისი ქერქის მაკორდინებული ძალმოსილება, მაგრამ ასეთ პირობებში განა ცხადზე უცხადესი არაა, რომ ენის არტიკულიცია, სანამ მეტყველების ცენტრი არ ჩანასახება, ვერაფერი ვერ შეძლებს; რომ ვერც შრომითი ქმედებიდან აზრის მოცემა ან შრომითი კავშირების მოთხოვნილებების არსებობა ენას სამეტყველოდ ვერ ამოძრავებს. მთლიანად თავის ტვინი და მისი ქერქის სრულიად მობილიზებული მაკორდინირებული საანალიზო სისტემა დღევანდელი მაღალი განვითარების რომც იყოს, უძლეურია ენა ამოქმედოს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მეტყველების ცენტრი ჯერ არაა ჩასახული.

ფილოსოფი – თუ უპირატესად ხელის მოძრაობებმა განაპირობეს მეტყველების ჩასახვა და განვითარება რატომ არ პირობა, ასეველი ათასწლეულების მანძილზე, ამ ფაქტმა შესაბამისი ასახვა თავის ტვინის ცენტრალურ-პროქსიმალურ რეგიონში, ხელის მოძრაობის ანალიზატორი რომ ყოფილიყო განმსაზღვრელი მ-ის ჩასახვა-განვითარებისა, ამ ხნის მანძილზე, იქვე პოვებდა მეტყველების ანალიზატორი თავის ადგილსამყოფელს (– მეექვსე ველზე) და არა 44-45 ველზე ც. ა. რუკისა.

ცხოვრებისეული თუ შრომითი (პირ. რეფლექსური) შექმნილი ქმედებებიდან მოძრაობის ცენტრის და თვით ხელის განვითარება საგნებით ბუნებრივია. რაც ასეც მოხდა. ამიტომაც ითქვა: შრომის იარაღი ხელი შრომის პროდუქტიც არის. ვერვც უნდა მომხდარიყო ენისა და მისი სამეტყველო-მამოძრავებელი ცენტრის შემთხვევაში. ენა და მისი მამოძრავებელი ცენტრი უნდა განვითარებინა ენის იმგვარივე ბუნებრივ მოძრაობებთან შესაბამე-ბულ ახალ პირ. პეფლექსური ბუნების მოძრაობებს, როგორც ეს ხელის შემთხვევაში მოხდა.

სოც. თეორიებს იზიარებდნენ ისტორიკოსები, ენათმეცნიერნი და ა. შ. მაგრამ ამასვე აკეთებდნენ ფსიქოლოგნი, ბიოლოგნი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფიზიოლოგნი (მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატი ი. პ. პავლოვი, ცნობილი ნევროლოგი ვ. ვ. მიხევევი, შესანიშნავი ფსიქოლოგი რ. ნათაძე, ფენომენალური ენათმეცნიერი ნ. მარი და ა. შ.)

ბიოლოგი – ალოგიზმი მეოთხე: ფიზიოლოგიურ ასპექტში მეტყველება და შრომა პირობითრეფლექსური ბუნებისანი არიან. ისინი მეტყველებით არ გადაეცემიან და, ამიტომ სახეობის ყოველმა წევრმა ცხოვრების მანძილზე უნდა შეინიშნოს – ისწავლოს. თუ ბგერა აღმნიშვნელია, ნიშანია ანუ სიტყვა და იმავდროულად პირობითრეფლექსური ფენომენია ეს იმას ნიშნავს, იმისათვის რომ ის, როგორც პირ. რეფლექსი აღმოცენდეს პირობითი გამიზიანებელი, ყოველ მიზეზგარეშე უნდა იყოს ბგერა. შრომის პროცესში დაკავშირების მოთხოვნილება არაა ბგერა (არც რაიმე სუბსტანცია) ამიტომ ბგერით პირ. რეფლექსს ვერ აღძრავს.

ისტორიკოსი – ალოგიზმი მეხუთე: კ. მარქსი წერდა: **«...ობობა ასრულებს მქსოველის მსგავს ოპერაციებს. ფუტკარიც თავისი ცვილის უჯრედების აშენებით, არცხვენს ზოგიერთ ადამიანებს – არქიტექტორებს. მაგრამ ყველაზე უარესი არ-**

ქიტექტორი საუკეთესო ფუტკარისაგან თა-ვიდანვე განსხვავდება იმით, რომ სანამ ცვილისაგან უჯრედს ააშენებდა მან ის უკვე თავის თავში გააკეთა...» დ. ნ. მ. გვ. 189.


ფილოსოფი – ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ ქმედება რომელსაც, ამ შემთხვევაში ადამიანი ასრულებს ცნობადია. იმას რაც **«წინასწარ წარმოდგენაში»** უნდა ააშენო მაღალი დონის ფსიქონალიზი სჭირდება. აქ ცხადია, საკმარისი არაა ქმედებათა მხოლოდ საგნობრივი წარმოდგენები, არამედ შესასრულებელია წვება მაღალი დონის ფსიქოაქტებისა. ამგვარი შრომა ხომ თავის თავში გულისხმობს მიზნობრიობას (მიზანშეწონილობას, მიზანმიმართულებას, საბოლოო მიზანსახვას ანუ პროგრამირებას) და შესატყვისი უმაღლესი რანგის მეტყველებითი ფსიქოაქტების ანუ აბსტრაქტული მეტყველების გარეშე შესრულებადია. როცა ვთქვით მეტყველებითი ფსიქოაქტი, ვიგულისხმებთ ის, რომ ადამიანი იმას რაც უნდა ააშენოს **«წინასწარ თავის ტვინში – წარმოდგენაში აშენებს»** სიტყვებით ანუ მეტყველებით. ეს ურყევი ფაქტია და, აგრეთვე, ისიც ხომ ფაქტია, რომ შრომის პროცესში თეორია ყოველთვის წინ უსწრებს პრაქტიკას, ამიტომ, ჯერ იყო მეტყველება, მერე მხოლოდ და მხოლოდ ამ გაცნობიერებული აზროვნება-მეტყველების შემდეგ, გახდა შესაძლებელი გაცნობიერებული ქმედება ანუ შრომა. აქ გამოვლენილი ალოგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ცნობადი პროცესი – შრომა შეუთავსებელია გაცნობიერებულ მეტყველების არარსებობასთან.

ამტორი – შრომის პროცესში შრომელთა ურთიერთდაკავშირების მოთხოვნილების არსებობა გარდა იმისა, რომ აუცილებლად გულისხმობს იმას რასაც არა აქვს გრძობადი ფესვები ანუ, როგორც უკვე ვთქვით, რაც არაა ნატურალური. იგი ასევე, ყოველმიზეზგარეშე, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ დაკავშირების მოთხოვნილება სააზროვნო-ანალიტიკური მონაცემია. ზოგჯერ, ეს უკანასკნელი, გამიზიანებელი მარტივი აზროფორმებით – ისეთებით რომელიც ფიზიკურ შრომაში ჩართულ მშრომელებს დღესაც ახასიათებთ. ესენია: მოდი, წაღი, მომეცი, წაიღე, მიეცი და ა. შ. ხშირად ეს სააზროვნო-ანალიტიკური მონაცემი (დაკავშირების მოთხოვნილება) გამოიხატება მაღალი დონის აზროფორმებით – აბსტრაქტული ლოგოფრაზებით, როგორცაა: ეს ასე და ასე გავაკეთოთ, ეს კარგი გაკეთებულა, ამის ანაზღაურება შეუძლებელია და ა. შ. ასეთი რანგის აზროვნება, როგორც ამ მაგალითებიდან აშკარად ჩანს, საგნობრივ აზროვნებაზე მაღლა დგას. იგი აბსტრაქტულია, რადგან ლოგოფრაზები გულისხმობენ იმას, რაც მხოლოდ წარმოდგენაშია ანუ იმას რაც არაა გაკეთებული და აღქმული, როგორც ნატურალური შეგრძნებადი ობიექტი.

პარადოქსია, თუ როგორ დაუშვა ლოგიკურმა მეცნიერულმა აზროვნებამ იმის უგულვებლოფა, რომ შრომა გაცნობიერებული პროცესია, ამიტომ, უკვე არსებული, მაღალი რანგის აზროვნება-მეტყველების-გარეშე, ვერაფრის დიდებით, ვერ განხორციელდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

“უნდათ, რომ ქართველებმა ჯვარს დააღბან ფეხი!” – მამა კონსტანტინე ფეხსაცმლის ძირებსა და საკანალიზაციო ჯგუზზე ბამოსახულ ჯვრებზე



ცოტა ხნის წინ მთაწმინდის პანთონში ვაჟა ფშაველას საფლავს ჯვარი დაამაგრეს, რომელიც არ შეესაბამება ძველის კონცეფციას და მარტივად რომ ვთქვათ, ხელოვნების ნიმუშს ხელყოფს. ამ ფაქტთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს იაკობ

გოგებაშვილის საზოგადოება, თუმცა მათ აქვთ პროექტი, რომ პანთონში არსებულ ყველა საფლავზე დამაგრდეს ჯვარი. ჩვენ დავეუკავშირდით საზოგადოების ხელმძღვანელს, მამა კონსტანტინე გიორგაძეს და კომენტარი ვთხოვეთ:

– როდესაც პანთონში საფლავებზე ავლიდით და პანაშვილებს ვუხდიდით, ვხედავდი, რომ ბევრ საფლავს ჯვარი საერთოდ არ აქვს. ქრისტიანი კაცი ვარ და ძალიან გამიკვირდა, ეს რომ შეგამჩნიე. მერე მივწერე მერიას, რომ კარგი იქნებოდა, თუ ყველა საფლავს ექნებოდა ჯვარი.

– მამაო, აქ განსვენებულთა უმეტესობა მთელი საქართველოს კუთვნილებს, მათ შორის მუსლიმი ქართველებიც...

– ილია ჭავჭავაძის საფლავზე ახლაც არის ჯვარი და ეს აბრკოლებს ვინმეს? რა, რადგან მუსლიმს ეწეინება, ქრისტიანის საფლავზე ჯვარი არ უნდა იყოს? ეს არაა სწორი მდგომარეობა.

– ახლახან ვაჟა-ფშაველას საფლავს დაადგეს ჯვარი, ამაზე თუ გაქვთ ინფორმაცია?

– არა, არ მაქვს ინფორმაცია, მაგრამ თუ ჯვარი დადგეს კარგია, თუმცა თუ ჯვარი არ შეესაბამება ძველის კონცეფციას, კინც დაამაგრა, იმას პასუხი უნდა მოსთხოვოთ. ჩემი იდეის მიხედვით ყველა ჯვარი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული საფლავის კონცეფციას. სამწუხაროდ, მერიამ ამ თემის მიმართ უყურადღებობა გამოიჩინა და დღეს ეს თემა მიჩნეულია და დადგეს ფეხი და ახლა კი საკუთარი ნებით გვადამევიანებენ ჯვარზე ფეხს.

– კითხვით თუ მიმართეთ იმ კომპანიას, ვინც ამ თავსახურებს ამზადებს?

– საკრებულოს მივმართე, მაგრამ ვერ გავიგე, იქ რა ხდება.

– როგორ ფიქრობთ, რას ემსახურება ეს?

– რას და უნდათ, რომ ქართველებმა ჯვარს დააღბან ფეხი!

– ვინაც ეს უნდა, მათთვის გაცილებით მარტივი იქნება, რომ ფეხსაცმელების ძირზე გამოსახონ ჯვარი...

– არის კიდევ გამოსახული, მიყვია ხოლმე ფეხსაცმელი და როდესაც მიწახავს, რომ ძირზე ჯვარი აქვს, უკან მიმიბრუნებია. ზოგი ათლის ამ ჯვრებს და ისე იცმევენ ფეხზე. სანამ ადამიანი არ ნახავს, რომ ძირზე ჯვარი აქვს, მას ეს ცოდვაში არ ჩაეთვლება, თორემ თუ ნახავს, აღარ უნდა ჩაიცივას.

ლ. გობოლაძე

ეროვნული მანკიერებები, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებაში არ წერია – ანუ, რა არის ევროპელობა



გილოცავთ, დღეს დიდი დღეა! საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. მაინც რა არის ეს ევროკავშირი, ასე რომ მივიღებთ და ვცდილობთ მასთან მჭიდროდ დაახლოვებას? მე, შენ და უბრალო საშუალო სტატისტიკურ ქართველებს რა სარგებელს მოგვიტანს ეს ხელშეკრულება? დაპირების მიხედვით, ხელმისაწვდომი გახდება ევროპული განათლება, გაუმჯობესდება ჯანდაცვა, გამყარდება კანონის უზენაესობა, სასამართლო უფრო უკეთესად შეძლებს ფუნქციონირებას, დაეუახლოვებით უფრო რეგიონის შემოღებას, უმცირესობათა პატივისცემას უფრო მეტ ძალისხმევას მოვასმართ, და ა.შ. თუ ამ ჩამონათვალს დაეკვირდებით, მათი განხორციელების შემთხვევაში ქვეყანაში კეთილდღეობამ უნდა დაისადგუროს და ერმა თანდათან ამოისუნთქოს.

და მაინც, რატომ უნდა გვიხაროდეს ევროპელობა? ან რას ნიშნავს ჩვენთვის უკვე ისტორიულ ფრაზად ქცეული სიტყვები – “მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი?” პირადად ჩემთვის ევროპელობა ინდივიდის უნიკალურობას ნიშნავს, თითოეული ადამიანის აზრის, გამოხატვის, შემოქმედების თავისუფლებას. იმას, რომ ადამიანს გააზრებული აქვს ეს და იმასაც, რომ სხვისი თავისუფლების გააზრება და მასთან შეგუება შეუძლია. შეიძლება ზოგი შემეღავოს, მაგრამ მგონია, რომ პოლიტიკურ ჭრილში ევროპელობის გაგება გაცილებით მარტივია.

ევროკავშირი გთავაზობს წინასწარ გაწერილ სტანდარტებს, და გეუბნება: გინდა იყო ჩემი ოჯახის საპატიო წევრი? მაშინ აქაური ქუდი უნდა დაიხარო და საერთო თამაშის წესებით იმოქმედო. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა საქმე ინდივიდუალიზმს, ადამიანების ქცევას, მენტალიტეტს, ჩვევებსა და აზროვნებას ეხება?

ქართველებს ხასიათით, გარეგნობითა და ქცევებით ხშირად იტალიელებს გვამსგავსებენ ხოლმე. თვითონ იტალიელებისგანაც გამოიგია, ყველაზე კარგად თქვენი გვესმის, ჩვენსავით ხმაურანები, ტემპერამენტანები, მუსიკალურები და ემოციურები და წესების დარღვევის მოყვარულები ხართო. მნელია არ დაეთანხმო, განსაკუთრებით ამ ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ:

იტალიელების მსგავსად, ჩვენც ძლივს შეგვიფიქროვებთ ზებრა გადასასვლელს. ზებრაზე გადასვლა ქვეითისა და მძღოლის პაქრობას ჰგავს. თუ გაგიმართლა და მყარი ნერვების მქონე სანდომიანი მძღოლი შეგხვდა, დაგითმობს გზას, თუ არადა, ელოდე... ან ნუ დაელოდები და გარისკე ისე, როგორც ამას სხვები აკეთებენ. სხვა თუ რისკავს, შენ რით ხარ მასზე ნაკლები?! აბა თუ გამოიტყობ, რიგში დგომის ქართულ წესებს? უფრო სწორად ერთ წესს, ამ შემთხვევაში, ბევრი არც არაფერია

გასათვალისწინებელი. რიგში ყოველთვის ყველა პირველია. არ აქვს მნიშვნელობა, დროსა და ადგილს – ავთიაქში, სალაროსთან, ექიმთან, ავტობუსის გაჩერებაზე, ტაქსიმდე კი... ზუსტად ამ პირველობის გამო დაიძვინო ჩემ თვალწინ წირვის დროს ხატთან დაკიდებული კანდელი სამებაში მრევლმა. რატომ? ჯიქურ მიიწვევდა ხატთან სამთხვევად, ვაითუ ვინმეს დაეწვრო დაწინაურება.

ყველანი ერთხმად ვთანხმდებით, რომ ქალაქის ქუჩები ნაგავს მიაქვს, მაგრამ ვინ ანაგავიანებს? – რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ჩვენ. მგონი ეს ერთადერთი პრობლემაა, რომელსაც მთავრობის უუნარობას არ ვაბრალებთ... არა, გამახსენდა – ხელისუფლებაში “ქართული ოცნების” მოსვლის შემდეგ ზოგისგან გამოიჩინა, ქუჩები იმიტომ არის უფრო მეტად დანაგვიანებული, რომ დასუფთავების სამსახურს აღარ გააქვს ნაგავი ისე ხშირად, როგორც ეს უწინ ხდებოდა.

რა ხდება ტრანსპორტში? ზოგადად, ეს თემა ცალკე ჩანაწერს იმსახურებს, მაგრამ დავაკონურად მაინც ვეცდები შეგახსენოთ. თუ ყვითელ მიკროავტობუსში დასაჯდომი ადგილი აღარ არის, ადვილად და ვდგებით მძღოლთან მაქსიმალურად ახლოს. არამც და არამც არ გადავდივართ ერთი მეტრით უკან. რატომ? იმიტომ, რომ აქაც ჩამსვლელების რიგში პირველები ვიყოთ. მეტი რა, რომ ამომსვლელებს გზას უუკეტავთ? მთავარია, რომ ჩვენ წინ ვდგავართ. სხვებს თავში ქვა უხლიათ...

სულ მაინტერესებს, მაგრამ ამ რიტორიკულ კითხვას პასუხი ვერ გავეცი – რატომ ვანადგურებთ ტრანსპორტში სკამის სახურავებს? ან რატომ ჰგავს 1 წლის ტრანსპორტში სკამები 100 წლის გაურეცხავს? ესეც მთავრობის ბრალია? იმაზე აღარაფერს ვამბობ. ცხელ სეზონზე ტრანსპორტში სურნელების ბუკეტი რომ იფრქვევა ხოლმე და თვით პატრიარქმა რომ მოუწოდა მრევლს ერთ-ერთი ქადაგების დროს, იბანავეთო...

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ამ ჩანაწერს ცხოვრებაზე დაბოღმული, არარეალიზებული ქარაფშუტა ადამიანი წერს, რომელიც ირგვლივ კარგს ვერაფერს ხედავს და მისი ერთადერთი მიზანი სხვების კრიტიკაა. მაგრამ გულახდილად გეტყვით, რომ ამ ჩანაწერით მინდოდა მეთქვა, მხოლოდ ევროკავშირი და ევროპელობა ვერ გამოგვასწორებს. ცვლილებები ყველა ჩვენგანმა საკუთარი თავის გამოსწორებით უნდა დაიწყო, რომ უფრო ღირსეული ევროპელები გახდეთ, ვიდრე ახლა ვართ.

ს. შინაშვილი,

გაზეთ “ილორის” კომენტარი: უკრაინამ უკვე იყნოსა ევროკავშირის სურნელი – აქ გაიმართა გეი-ადლეუმი, რომელიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს წამყვანმა პედერასტებმა.

ჯერ კიდევ მანამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკის ექსპრეზიდენტი ჯო ბაიდენი აშკარად დაგვეშუქა ქართველებს და აღნიშნა: „მეცხნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ ამყარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის ბამო! მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა!“

სექსუალური უმცირესობების უფლებათა დამცველების წინაშე გამოსვლისას ჯო ბაიდენმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დაავალა აშშ დიპლომატიურ სამსახურს, ხელი შეუწყონ მთელს მსოფლიოში გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების უფლებების დაცვას. შეხვედრას გეების ცნობილ უფლებადამცველებთან ერთად ესწრებოდნენ დიდი ბრიტანეთის, შვედეთის, დანიისა და ისლანდიის ელჩები.

ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ სწორედ სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვა არის ცივილიზებული ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანი და ის უნდა იდგეს ეროვნულ კულტურასა და სოციალურ ტრადიციებზე მაღლა.

„მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა“, – განუცხადა ბაიდენმა სტუმრებს და დაამატა, რომ გეებისა და ლესბოსელების მომხრეები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ნაკადს, მათი მოწინააღმდეგეები კი მარგინალური არიან: „თქვენ უმრავლესობა ხართ, ისინი კი, სხვები – ველურები! ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ და არ ამყარებენ ლგბტ უფლებებს, უნდა ზღონ არაადამიანურობის ბამო!“, – გააფრთხილა ისინი ბაიდენმა.

უკრაინაში, რომელმაც 27 ივნისს, საქართველოსა და მოლდოვასთან ერთად ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და სადაც, აგერ უკვე ნახევარი წელია, „ევროსტანდარტების მიხედვით“, მშეიღობიან მოქალაქეთა სისხლი იღვრება, 2014 წლის 30 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით პირველი ევროპული დონისიძიება – საერთაშორისო ფორუმი – ლგბტ ფესტივალი „იკვე პრაიდ 2014“ ჩატარდა!

როგორც დააანონსა „იკვე პრაიდ 2014“-ის პრეს-ცენტრმა მისი ოფიციალური საიტიდან, ამ აღვირახსნილობის ზეიმის ორგანიზატორებმა – ლესბოსელებმა, გეებმა, ბისექსუალებმა და ტრანსგენდერებმა – ჩაატარეს მეგა-მიტინგები, თემატური ლექციები (!), კინოჩვენებები (!) და კონცერტები „თავისუფლებისა და თანასწორობის იდენტობის იდეის ირგვლივ გაერთიანების მიზნით“, და არა მხოლოდ პედერასტებისა და ყველა ჯურის ჰომოსექსუალებისა, არამედ „ამ ფასეულობათა გამზიარებელი ყველა კეთილი ნების ადამიანებისთვის!“

ფესტივალის ესტაფეტას ალბათ მალე აიტაცებს უკვე ასოცირებული ევროსაქართველო – ევროქართველებმა ხომ, თავისდა საბედნიეროდ, თადარიგისად წინასწარ მიიღეს პარლამენტში ანტიდისკრიმინაციული კანონი – ლგბტ-თა მიმართ განსაკუთრებული ზრუნვისა და მათი უფლებების განუხრევლად დაცვის შესახებ...

მოკლედ, დიდი ჭირი უახლოვდება საქართველოს, ის ჭირი, რომელიც ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში განჭვრიტა დიდმა ვაჟა-ფშაველამ და კოს-მოპოლიტიზმის ღია თუ ფარულ მოტრფი-ალებს უძღვნა ლექსი:

თმა-ბრძედა – ჭკუა-თხელა

შენ, ეი, ძმობილო, თმა-გრძელო, ტვინ-თხელო, წვერებ-ცანცარა. ჭკუაზე მოსვლის მაგივრად გადაირიე თანთანა. მშეიღობითობ, სჯახირობ, ამბობ რაც არი, რაც არა, მშეგობრობ ალი მუსიას, ნამწყრალეგად ხარ მმასთანა. სამშობლოს ზურგი აქციე, რადგან კული გაქვს სხვაგანა აჩუქებ საქართველოსა, თუ ვინმემ დაგიკაკანა, ძმობა-ერთობას დაგპირდა და ღვინით პირი დაგბანა. დედას მანდილი მოჰხადე, ცოლს გაუფიდე კაბები, ღვიძლ-შვილებს სიმშლით ჰხოცავ, გარეთ გაჰზიდე ტაბლები. მსმენელთა სმენა ვალდების, ისეთი შექმენ ამბები. აბლაბუდასებ გააბი ცილის და ჭორის ძაფები. საქვეყნოდ დარდად გაჰხადე შენ საკუთარი დარღები. სენისგან ქვეყნის მკურნალო თვით როდის გაგვისადღებო? ფილოსოფოსის სახე გაქვს და დონ-კიხოტის კანჭები. გიწვევია ჯიბე-უბეში ევროპული აზრები, უმ-უმი, უღუჭ-უცოხნი, მალალი სორტის ფრაზები...

ვაი ჩვენს ხოდაბუნებსა! ვაი საბრალო ვაზები! სადუნიაოდ გაჰხადე მამათა დანათვისა, მთა-ბარი სისხლით მორწყული; იმიტომ გითხარ ლექსია, გაიგე, მოდი ჭკვაზედა, შეიგნე, არ ხარ მესსია! იმიტომ საქართველოში თანთან გიხმება ფესვია. რომ მოხდებოდა ეს ასე, ადრევე დაგიკვესია. უტიფრობაში ჩამიგდე, ეხლა ჰზიხარ და ჰკენესია. ხანდახან, ვგონებ, ამბობდე: “რად მომივიდა ესია?”

ეგ დღე მოვლის, ბუნების ვინაც არ იცის წესია: ვის გინახიათ, მითხარით, მთაში მოსული ნესვია? მისტიკად შეიძლება ჩაითვალოს დიდი მგონის ეს საუკუნისწინანდელი საოცარი წინასწარმეტყველება, მაგრამ გენიოსის ძალა განა თუნდაც შორეული მომავლის შეუმცდარი ჭკვრება არ გახლავთ?

ნაციონალი არეშტრაპიანი

თუ გსურს დღეგრძელი იყო, დღეში ორჯერ მაინც მოკვდი სიცილით!

არეშტრაპიანი – სომხურად ვაჭარს ნიშნავს, გაიძვერა ვაჭარს კი, აი, როგორებიც ჩვენი ნაციონალები არიან, სომხები გაიძვერა არეშტრაპიანს უწოდებენ.

იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილი და მისი ნაციონალები აბსოლუტური უმრავლესობა უნიკურად პირველადინილი სომხები დაწაკებენ არიან, თავს უფლებას მიეცემ, რომ მათ ნაწილობრივ მაინც ვუსაუბროთ მათ მშობლიურ ენაზე და ისინი **“არეშტრაპიანებად”** მოვიხსენიო.

მაშ ასე, ისიც ფაქტია, რომ ყველაზე მეტად, რითაც თავი გამოიჩინეს ნაცებმა ცხრაწლიანი ძალადობის განმავლობაში, სწორედ ის არეშტრაპიანობა გახლდათ. მთავარმა არეშტრაპიანმა მიშა სააკაშვილმა, ჯერ კიდევ თბილისის საკრებულოს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, იცოდა რა, რომ ხმები არ ყოფნიდა საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევისათვის, თადარიგი დაიკავებდა და წინასწარ გაუყოფდა ლეიბორისტების **“შეღადს”** შალვა ნათელაშვილს (იმასაც ამბობენ, რომ შალიკოს კარგა ბლომად ფულიც გადაუხადაო) და სწორედ მისი დახმარებით გაძვრა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ.

შემდეგ არეშტრაპიანი სააკაშვილი, თავის-ნაირ არეშტრაპიან ბურჯანაძესა და ჟვანიასთან ერთად გაუყოფდა არეშტრაპიანთა იმდროინდელ მფევეს ელვარდ შვეარდნაძეს, რომელმაც გაითამაშა **“გარდების რეგულაცია”** და ამერიკელი მილიარდერის კერკ კორკორიანის მილიონები ჩაიჯიბა, რათა ძალაუფლება არეშტრაპიანთა ტრიუმფირატი-სათვის (საკაშვილი, ბურჯანაძე, ჟვანია) გადაეცა. აი, მერე რომ არეშტრაპიანობა დაიწყო, ამის მსგავსი ქართველებს არც უნახავთ და არც გაუგონიათ!

ყველაზე მეტად, რითაც თავი გამოიჩინეს ნაცებმა ცხრაწლიანი სახელისუფლებო ძალადობის განმავლობაში, სწორედ ის არეშტრაპიანობა გახლდათ – სიტყვა **“ათასმა”** მათთვის დაკარგა მნიშვნელობა და სამეტყველოდ ისინი იყენებდნენ ან **“ერთიანს”**, ან **“მილიონს”**. მაგალითად, 1 ლარად ყიდუ-

ლობდნენ სახელმწიფო ქონებას და მილიონებდნენ ჰყიდდნენ. ტენდერს რომ მოაგებინებდნენ საკუთარ ფავორიტ ფორმებს, მათგანაც მილიონებს ითვიხებდნენ. ძირძველი ნადლი სომხები არეშტრაპიანებიც კი გაოცებულები იყვნენ ქართველი არეშტრაპიანების **“გამგრიანობით”**, ფულის მოგების საინტერესო და მიმზიდველი ფორმების დანერგვით...

ყველაზე დიდი არეშტრაპიანი (თუნდაც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) იყო კახა ბენდუქიძე, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლისთანავე ყველაფერი დახლზე დადო და საქართველო ერთ დიდ გასაყიდ ლობად აქცია. **“სინდისის გარდა ყველაფერს ვყიდო”**, განაცხადა მაშინ ამ უზრდელმა ცხოველმა და არც არავის გააკვირვებია მისი ეს დეკლარაცია – თუ არა გაქვს, ვერც გაყიდო! მას მოჰყვებოდნენ შედარებით ტანაპარა, მაგრამ მაღალი არეშტრაპიანები – გიული ალასანი, თემურ ალასანი, გივი წერეთელი, გიორგი თარგამაძე, გიორგი ვაშაძე, გივი უგულავა, დავით კეხერაშვილი და ა.შ. და ა.შ.

მაღე მთელი **“ნაციონალური მოძრაობა”** საარეშტრაპიანოდ გადაიქცა, რაც მათ დაავიწყებინეს 2008 წლის აგვისტოს ომით, რომელიც რუსეთს გამოუცხადეს, მოწინააღმდეგეს პირტიტველა ქართველი ჯარისკაცები შეატრევს, თავად კი არეშტრაპიანობით ნაშოვნი ფულითა და ქონებით დატვირთულმა თავის საშველად **“წითელი ხიდისაკენ”** მოკურცხლეს! მაგრამ არეშტრაპიანულმა სულმა მაინც იმდღავრა ამ დაშნაკებში და ომის ცეცხლი ჯერ კიდევ ხროლავდა გორსა და ფოთში, როცა იგივე რუსებს ენგურძესი მიჰყიდეს საკმაოდ სარფიანად. და ეს მოხდა ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში – 2008 წლის 16 აგვისტოს, როცა ქართველი ჯარისკაცების გვაშები ჯერ კიდევ მზის გულზე იხრწნებოდა და აღებ-მოცემობისათვის არავის ეცალა, გარდა, რა თქმა უნდა, ნაციონალი არეშტრაპიანებისა.

ამიტომ, მაშინ ხალხი ენგურძესის გაყიდვის ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, რომლის გაპროტესტებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ნაციონალი არეშტრაპიანები საკუთარი ინტერესების გარდა არაფერს უწევდნენ ან-

გარიშს. როგორც უნიკური მოძმე სომხები იტყობდნენ ასეთ შემთხვევაში: **“შურაგალუსემ, არეშტრაპიან-ჯან”** (შენ კი გენაცვალე, ყოჩაღო ვაჭარო)!

ყველაზე დიდი არეშტრაპიანობა, რაც სააკაშვილმა და მისმა დაშნაკებმა ჩაატარეს, აზერბაიჯანიდან ნავთობისა და ბუნებრივი აირის შესყიდვა გახლდათ. გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე დღის უკან ნაცთა წერილზევა არეშტრაპიანები ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე რომ დააკავეს აზერბაიჯანელმა მესახდერებმა დიდალი არადეკლარირებული თანხის (დაახლოებით 1 მილიონი დოლარი) საქართველოში გადმოტანისათვის. ინერეულებს მაშინ ნაცებმა, მაგრამ მაღე მოაკვარახსინეს საქმე, თუმცა, სიხარულს მაინც ვერაინი გამწვევდით, რადგან დიდალი **“შავი”** ფული დაკარგეს არჩევნების დასაფინანსებლად.

საქვეყნოდაა ცნობილი ის ამბავი, რომ ჯერ კიდევ ფეოდალურ ხანაში ჩარჩენილი აზერბაიჯანის ეკონომიკის ყველა სფეროს პრეზიდენტ ილაშა ალიევის ოჯახური კლანის წევრები აკონტროლებენ (ზუსტად ისე, როგორც ერთ ავბედით დროს საქართველოს მიუღე ეკონომიკის აკონტროლებდნენ შევარდნაძის თუ სააკაშვილის ოჯახის წევრები). სწორედ ამაზე გააკეთა აქცენტი პრეზიდენტობისას საქართველოს მთავარმა არეშტრაპიანმა სააკაშვილმა და თავისი ჩრდილოვანი ეკონომიკის მთავარი ვექტორები სწორედ ალიევის ოჯახისაკენ მიმართა, რაც ძირითადად ენერგომატარებლის ფასებზე აისახა. გარიგება რომ დაწამაშულე-ბრთია, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ აზერბაიჯანში ერთი ლიტრი ბენზინის ან ზღვილის საწვავის ფასი 0-80 თეთრის ექვივალენტია, ჩვენთან კი ორ ლარს ეკვრება. განა რა უნდა დიდდეს აზერბაიჯანიდან საქართველოში ენერგომატარებლების ტრანსპორტირება, რომ მისი ფასი ასე გაიზარდოს, მაგრამ ნათელია, რომ ზედნაშტ არანორმალურად გაბეჭდილ მოგებას აზერბაიჯანელი მენავთობეები და საქართველოს (და არა ქართველი, რადგან არ შეიძლება რომ საქართველოს გამოიძველი ეთნიკური ქართველი იყოს) ნაციონალი არეშტრაპიანები

“მშურად” იყოფენ. ამიტომ, როცა აზერბაიჯანში გაარეშტრაპიანებული ნადირაშვილი და ჯაფარიძე დიდალი ქეშით დააკავეს, ბუნებრივია, ამას შეედლო უსიამოვნებები შეექმნა ალიევის კლანის იმ წევრისათვის, რომელმაც ქართველებს ეს ქეში გამოატანა. ამიტომ, სავსებით ლოგიკურია, რომ საქმეში დიდი აზერბაიჯანელი ჩინები ჩაერვივნენ და ნადირაშვილი და ჯაფარიძე იოლად დაუსხლტნენ პასუხისმგებლობას.

მაგრამ, უნდა იცოდნენ ამ არეშტრაპიანებმა, რომ კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს და, ერთხელაც იქნება, ოთხივე ფეხით გაემეზიან ხაფანგში!

გარდა ამისა, ჩვენთვის გაუგებარია ის გარემოება, რომ აზერბაიჯანი, რომელიც ნაციონალ არეშტრაპიანებთან დანაშაულებრივი გარიგებით ტყავს აძრობს საქართველოს მოსახლეობას, საქართველოდან, კერძოდ იურის წყალშემკრები სისტემიდან ყოველწლიურად იღებს ჩვენგან, უფასოდ, ლამის მილიარდი დოლარის ღირებულების სასმელ წყალს, რაც დღეს ყველაზე ძვირი ღირს მსოფლიოში, განსაკუთრებით – მუსულმანურ სამყაროში. მაშ, რატომ არ უნდა მოვთხოვოთ აზერბაიჯანელებს ჩვენი კუთვნილი ფული, რადგან თუ ჩვენ მათ წყლის ამ არხებს გადაუკეტივთ, მათ ფეკალიებით უსახოდ **“გამდიდრებული”** მტკერის წყლის დაღვევა მოუწევთ?

პირადად მე, ამის თაობაზე წარუდგინე კონცეფცია და საკუთარი მოსაზრებები **“ოცნების”** ხელისუფლებას, მაგრამ, სმწუხაროდ, ყური არავის შეუბერტყავს!

საინტერესოა, მართლაც ხომ არ ხდება ამ ჭეშმარიტად **“შავი”** ბიზნესის რებრენდინგი ახალი ხელისუფლების სასარგებლოდ, მით უმეტეს, რომ მაქლარი არეშტრაპიანები წავიდნენ და ისინი იმ მშობერმა თანადებობის არეშტრაპიანმა მაძიებლებმა ჩაანაცვლეს, რომელთაც, ხადურის წაქეზებით, მადა ვერა და ვერ დაიოკეს და უზარმაზარ პრემიებს უწვდნენ საკუთარ თავს?!

როლანდ ჯალაღანიძე, არეშტრაპიანებისგან შორს მდგარი ურნალისტი

მოულოდნელად ამხელა საბაღოს აღმოჩენა ეჭვს იწვევს ბეოლოგებში

გაზით “გვაბოლებენ”?



ორიოდ კვირის წინ საქართველოში ზარ-ზეითით აღინიშნა საგარეჯოს რაიონში, სოფელ იორმულანდლოში ბუნებრივი აირის მოპოვებით სამუშაოების დაწყება. ე.წ. **“მწარე ხევის”** საბაღოზე ბუნებრივი აირის მოპოვებასა და დისტრირბუციას ამერიკული კომპანია **“ფრანტერას”** ახორციელებს. ჭაბურღილიდან მიღებული გაზის რეზერვუარებში დაგროვებასა და პირველად გაშვებას, კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოში აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდიც ესწრებოდა.

საქართველოში ბუნებრივი აირის მოპოვება მეოცე საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო და მცირე მოცულობით დღემდე გრძელდება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზის წლიური მოპოვება საშუალოდ 16,5 მლნ კუბ/მ-ია. სულ კი ქვეყანაში მოპოვებულია 2,8 მლრდ კუბ/მ გაზი. შესაბამისად, **“ფრანტერას”** მიერ გაზის საბაღოს აღმოჩენა არავის გააკვირვებია, მაგრამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია გაზის იმ მოცულობამ, რომლის აღმოჩენაც ამერიკულმა კომპანიამ სახეიმდებ აუწყა საზოგადოებას – 42 მილიარდი კუბური მეტრი! ცნობისთვის, საქართველო წელიწადში 1,8-დან 2 მილიარდამდე კუბ/მ გაზს მოიხმარს და თითქმის 100%-ით იმპორ-

ტირებულ ბუნებრივ აირზეა დამოკიდებული. ასეთ ფონზე რა გასაკვირია, რომ **“ფრანტერას”** აღმასრულებელმა დირექტორმა სტიენიკადროსმა ასეთი მარაგის აღმოჩენა ისტორიულ მოვლედ შეაფასა და 42 მლრდ კუბ/მ მოცულობის საბაღო ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის წინაპირობად მიიჩნია. პროექტის დიდ მნიშვნელობას ხაზი გაუსვა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს აქვს პოტენციური შესაძლებლობა, გახდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის ბუნებრივი აირის მომპოვებელი სახელმწიფო. ეს ყველაფერი შესანიშნავია, მაგრამ... ჩვენი გაოცება გამოიწვია იმან, რომ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში ამ გრანდიოზული აღმოჩენის შესახებ არაფერი იცოდნენ.

ალექსანდრე აბაიაძე, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია: “იორმულანდლოში” “მწარე ხევის” საბაღო ჯერ კიდევ აღმოჩენა კავშირის დროს არის საბოლოო. შემდეგ, 2008 წელს “ფრანტერამ” განაახლა მასზე ბურღითი და მოპოვების სამუშაოები. რაც შეეხება ასეთ მოცულობას, ჩვენი კორპორაციასა და სააგენტოს, რომელიც სახელმწიფო მხარეს წარმოადგენს, “ფრანტერას” წარდგენილი აქვს ოფიციალური დოკუმენტები, სადაც გაზის დადასტურებული მარაგების მოცულობა აღნიშნულ საბაღოზე 23 მილიონი კუბ/მ-ია. დამეთანხმებით, რომ 23 მილიონსა და 42 მილიარდს შორის ძალიან დიდი სხვაობაა. გარდა ამისა, ასეთი საბაღოს აღმოჩენა მასშტაბურ სამუშაოებთან არის დაკავშირებული, უნდა არსებობდეს გეოლოგიური დასაბუთება და სხვ.

ასეთი განსაკუთრებული კვლევა კი ბოლო დროს არც წარმართულა და შესაბამისად, არც რამე დიდი საბაღო აღმოუჩენიათ. მეტსაც გეტყვით, რამდენიმე თვის წინ ჩვენ სხვადასხვა შეხვედრა გამართეთ, მათ შორის **“ფრანტერასთან”**, სადაც სწორედ ის დადასტურებული 23-მილიონიანი მარაგი განიხილებოდა და იმასაც, საკმარისი მასალების არქონის გამო, სახელმწიფო დაუსაბუთებლად მიიჩნევა.

მოულოდნელად ამხელა საბაღოს აღმოჩენა ეჭვს იწვევს გეოლოგებშიც. აკადემიკოსი დავით ელიაშვილი წლების განმავლობაში თავად მონაწილეობდა ბუნებრივი აირის საძიებო კვლევებში და ამბობს, რომ კახეთში გაზს რამდენიმე კომპანია ეძებდა, მაგრამ ასეთ მარაგებს ვერსად ვერ მიაგნეს. ელიაშვილის თქმით, 42 მილიარდი კუბ/მ საკმაოდ დიდი მანევრებალია და როგორც მისთვის, ასევე სხვა სპეციალისტებისთვისაც უცნობია, რა ტიპის კვლევებს ყრდნობა **“ფრანტერას”** განეხადება.

ლიანა ჯამბაღიძე, ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში: “გაზის საძიებო სამუშაოები საქართველოში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მიხედნებოდა. სხვათა შორის, გაზს აქ მშენებელი ეძებდნენ, რაზელებზე შემდეგ ცნობილი კომპანია “სიმენსი” დააფუძნეს. თუმცა, მათ მაშინ დიდი ვერაფერი აღმოაჩინეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამბეტის რაიონში, მაღალმთიან სოფელში გაზს მოპოვებდნენ ბელგიელები, მცირე რაოდენობით, ბუნებრივი აირი ჯორჯზე გადაკრებული ტიკებით ჩამოქონდათ ბარში და ყიდდნენ. “ფრანტერას” საქართველოში უკვე დიდი ხანია აწარმოებს საძიებო სამუშაოებს და დღემდე

მნიშვნელოვანი არაფერი აღმოუჩენია, ამიტომ ცოტა არ იყოს მოულოდნელი იყო განცხადება 42-მილიარდიანი მარაგის შესახებ. თუ ნამდვილად დადასტურებულია ასეთი მოცულობის რეზერვუარის არსებობა, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია შიდა ბზრის განვითარებისთვის, რადგან ჩვენ 100%-ით იმპორტირებულ გაზზე ვართ დამოკიდებული. ამჟამად საქართველოს მოსხმარების მაქსიმუმში 2 მილიარდი კუბ/მ-ია. თუ ვიგავარდებთ, რომ ეკონომიკა განვითარდება და მოხმარებაც მოიმეტებს, სავარაუდოდ, ის 3-3,5 მილიარდს მიაღწევს. გამოდის, რომ **“ფრანტერას”** აღმოჩენილი საბაღო შიდა მოხმარებას 12 წელი დააკმაყოფილებს. ეს პოტენციური გაზის მსოფლიო ბაზარზე საქართველოს სრულფასოვან მთამაშედ ვერ აქცევს, მაგრამ შიდა ბზრისთვის საინტერესო იქნება.

ყველაზე დიდი მოლოდინი არსებობს საქართველოს შავი ზღვის შეღფზე განთავსებულ სამ საძიებო ბლოკთან დაკავშირებით. წლეულს, მარტში, თბილისში ნავთობისა და ბუნებრივი აირის კონფერენცია გაიმართა, სადაც საუბარი იყო ამ საბაღოების სალიცენზიოდ გატანაზე. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, იგეგმება ამ სამი ბლოკის ერთად გატანა და ლიცენზიას ალბათ ერთი კომპანია მოიპოვებს. თუ საძიებო სამუშაოები წარმატებით დასრულდა და იმ რაოდენობის რეზერვი აღმოჩნდა, რასაც ველოდებით, ეს კომერციულად საინტერესო იქნება და საქართველო შეძლებს, ბუნებრივი აირის ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს.

კომპანია **“ფრანტერასი”** აცხადებენ, რომ საერთო მარაგი – 42 მილიარდი კუბური მეტრი – საპროგნოზო მანევრებალია. კომ-

პანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აღნიშნულია, რომ **“მწარე ხევის”** საბაღოზე კომპანია ყოველდღიურად 57 ათას კუბ/მეტრ გაზს მოიპოვებს, ხოლო **“მწარე ხევის”** გაზის გეოლოგიური პოტენციალი 28 მილიარდ კუბ/მ-ად აქვს შეფასებული. ეს საერთაშორისო ნავთობისა და გაზის კომპანია 1996 წელს დაარსდა, მისი სთავო ოფისი აშშ-ში მდებარეობს. საქართველოში კომპანია 1997 წლიდან საქმიანობს, აწარმოებს კვლევა-ძიებისა და მოპოვებით სამუშაოებს ქვეყნის აღმოსავლეთში, რისთვისაც დააფუძნა შპს **“ფრანტერას ისტერი ჯორჯია”**. მან იმავე წელს დაიწყო ნავთობსაძიებო სამუშაოები დედოფლისწყაროში, შირაქის ველებზე. კომპანიის ჭაბურღილიდან ნავთობის პირველი ამოღება პირველ აპრილს დაემთხვა. ამ ჭაბურღილის გახსნას ექსპერიმენტული ელვარდ შევარდნაძე ესწრებოდა. შევარდნაძე ამბობდა, რომ უცხოელმა სპეციალისტებმა შირაქში ნავთობის დიდ მარაგს მიაკვლიეს, რაც ეკონომიკისთვის კარგი იქნებოდა, დედოფლისწყაროელებს კი სამუშაო აღვილები და უფასო ნავთობპროდუქტები ელოდებოდათ... დანაპირებს აღვილობრივები დღემდე ელიან. მაშინ გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა რეალურად ეს იყო მცდელობა, კარგი სიახლის განხმარებით ხელი შეეწყოთ კომპანიის აქციების ფასის ზრდისთვის საფონდო ბირჟაზე, და თუ ბუნებრივი აირის მასშტაბური საბაღოს ისტორიაც დაიწვევით დასრულდა, ალბათ ხსენებულ ვარაუდს ბევრი, ამ შემთხვევაშიც, ირონიულად გაიხსენებენ.

ი. ტუხიაშვილი

თამარობა – უდიდესი ეროვნული დღესასწაული



1185 წელს მეფემ რუს უფლისწულ იურიზე (ანუ გიორგი) იქორწინა. ქართველებმა მისი სარდლობით მრავალი ირანული ქალაქი აიღეს. მოგვიანებით, გიორგის შეუწყნარებელი ხასიათის გამო, თამარი იძულებული გახდა ქმარს გაეყოლა.

1189 წელს მეფემ მეორედ იქორწინა ოსთა მეფის ძეზე, ღვათი სოსლანზე. თამარსა და ღვათის ვაჟი შეეძინათ მას გიორგი-ლამა უწოდეს. ვაჟის დაბადება დიდი ხარ-ხეიმით აღინიშნა. დიდსულოვანმა მეფემ დიდძალი წყალობა გაიღო, მრავალი შესაწირით გაავსო ეკლესიები. ერთი წლის შემდეგ თამარსა და ღვათის მეორე შვილი, რუსუდანი შეეძინათ.

ქართველებმა მრავალ ბრძოლაში მოახერხეს გამარჯვების მოპოვება, ისინი იბრძოდნენ ძველი ქართული მიწების შემომტკიცებლისთვის. რამდენჯერმე მარცხიც იწვნის, მაგრამ XIII საუკუნეში მძლავრი ნაბიჯებით შემოღვეს ფეხი საერთაშორისო ასპარეზზე. ქართველთა აღზევებას არ ურიგდებოდა მამამთავრის სამეფრო და აქტიურად ემხლებოდა ქართველთა დასამხრობად. მათ წერილობითი გამოცხადებით ქართველებს, რომელიც ქრისტიანობაზე ხელის აღებასა და უომრად დანებებაზე მოუწოდებდა. თამარმა და ღვათი-მა ჯარი საომრად განაწილეს. პირველსავე შეტაკებაზე შედრკნენ თურქები, მაგრამ ძლიერი ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ ქართველებმა ბასიანში მარცხი შეძლეს მტერზე გამარჯვება. მათ დიდი ნადავლი მოიპოვეს და თურქთა დროშებით თამარის ფეხებთან დაყარეს. ბასიანის ბრძოლის შემდეგ სახეიმო განწყობილება სუფევდა საქართველოში. არ გასულა დიდი ხანი და გარდაიცვალა ღვათი

სოსლანი. მგლოვიარე მეფემ თანამოსყდრედ თავისი ძე, გიორგი-ლამა დასვა.

კიდევ რამდენჯერმე მოუხდათ ქართველებს მამამთავრებთან ბრძოლა. ძლიერების მწვერვალზე იყო საქართველო. კავკასიელთა ერთიანი სახელმწიფო უფრო გააშლილიყო. ჩრდილოეთით “ნიკოფსითგან დარუზანდამდის” გადაჭიმული და სამხრეთით “სინოპიდან არდაველამდის”. მეფეთა მეფე იყო თამარი, ხოლო თამარის სახელმწიფო ძლიერი და ერთიანი. მრავალი უთანასწორო ბრძოლა დასრულდა თამარის დროშის გამარჯვებით. გაივდა საუკუნეები და მისი სახელი საღვთოვად გახდა საქართველოსთვის.

“შე იგი მზეთა” თამარი გახლდათ სამაგალითო ქრისტიანი, მან საეკლესიო საქმეებზე მიხედა, რადგან ქრისტიანულ ეკლესიას ხნობრივი რყევა შეაჩნია. აურაცხელი საბოძარი გასცა ხალხისთვისაც. შენდებოდა ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ხიდები. განდგა “თამარის ციხე”, “თამარის ხიდი”, “თამარის ხატი”, “თამარის ეკლესია”...

თამარის გარდაცვალების თარიღად მეცნიერები რამდენიმე წელს ასახელებენ. მიიქმე სენით დაავადებული მეფის გარდაცვალება მოელოდა საქართველომ ივლით. ქვეყანამ დაკარგა დედა და დედოფალი სრულიად სახელმწიფოსი. ეს იყო კლასიკური ხანა საქართველოს ისტორიაში.

დღემდე თამარ მეფის ოთხი პორტრეტი შემორჩენილი. მათ შორის ერთ-ერთი ბეთანიის ტაძარს ამჟღავნებს. თამარის ფრესკა სამხრეთის შესახველიდან შესულ ადამიანს უდგება თვალწინ. მას ხელები საკურთხეველისკენ აქვს გაწვდილი. სამეფო ტანსაცმელი აცვია. მხატვარს მეფე ჩვეულებრივ ადამიანად ჰყავს წარმოდგენილი. ის მოკლებულია დეოტაბრიობას. თამარის სახე დიდებული და ამაღლებულია.

თამარ მეფის სახე შემოგვინახა ბერძენების ეკლესიამაც. ფრესკა დახიანებულია, გადარჩენილი ნაწილები საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

XII-XIII საუკუნეების ქართული კულტურის, ვარძიის მშენებლობის ისტორიაში რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა. ერთ-ერთი ეტაპი თამარის მეფობის დასაწყისია. ვარძიის მშენებლობა დღისმშობლის მიძინების ტაძარია, სადაც ჩრდილოეთ კედელზე თამარ მეფე და გიორგი III არიან გამოხატულნი. ყმაწვილ ქალს ეკლესიის მოდელი უჭირავს ხელთ. თამარმა ბასიანის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად ტაძარი უხვი წყალობით ააგო.

ყინვისის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე თამარ მეფე ლაშა-გიორგისთან და გიორგი III-სთან ერთადაა გამოხატული. შენობა შეუღლებულია და ფრესკების დიდი ნაწილი დახიანებულია, მაგრამ გადარჩენილი ფრესკები მხატვრული ღირსებით შუა საუკუნეების მონუმენტური ფერწერის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია.

ქართველმა ეკლესიამ თამარ მეფე წმიდანად შერაცხა. მისი ხსენების დღე საქართველოში საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენიდან, 1917 წლიდან აღინიშნება.

მთელ საქართველოს ვულოცავთ ამ მდღიან დღეს და ვუსურვებთ თამარის მხარესნი ვყოფილიყოთ სიბრძნით, უსუბუბო კეთილად, “უკლებელი გონებითა” და ყველა სხვა სიკეთით.

ამბიონი.გე

თბილისის მებრო შვიკლება აფეთქდეს!

“ფრთხილად! – კარები სამუდამოდ არ ჩაიკეტოს!”

“მარჯანიშვილი”, “ავლაბარი”, “გოცირიძე” – ეს იმ მეტროსადგურების არასრული ჩანაწერი. სადაც რამდენიმეტიანი შუალედებით, ხანძარი განდგა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არც ერთ მათგანს მოჰყოლია, მაგრამ ურიგო არ იქნება, მეტროსადგურების ტექნიკური უსაფრთხოება მანამ შემოწმდეს, ვიდრე მორიგი ხანძარი უბედური შემთხვევით დასრულდება! მიწისქვეშა ტრანსპორტის უსაფრთხოებაზე პასუხს, წესით, მხოლოდ მეტროპოლიტენის შიდასამსახურები კი არა, დამოუკიდებელი უწყებებიც უნდა აკლებდნენ, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაცია “უფლებადამცველთა გაერთიანების” ხელმძღვანელი ნიკოლოზ მუჟაანაძე ამტკიცებს, რომ 2010 წლის შემდეგ, მეტროსადგურების მდგომარეობა აღარაფერს შეუმოწმებია. მეტიც, რამდენიმე მეტროსადგური, ძვირადღირებული უწვადი მასალების ნაცვლად, იაფფასიანი პლასტმასით შეკეთდა. მაინც როგორ იქცა მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტი საქართველოში “დანადმულ ველად”?

“გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მეტრო საეკავიაციო ქსელიცაა. დემორტა დაგვიფაროს, მტერმა ჩვენი დედაქალაქი რომ დაბომბოს, ხალხმა თავი სწორედ მეტროს უნდა შეაფაროს. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, რამდენიმე მეტროსადგური, კერძოდ “წერეთელი”, “ახმეტელი”, “რუსთაველი” და “300 არაგველი” სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, პლასტმასებით შეკეთდა. საუბარია გვირაბებსა და მოსცადელ ბაქნებზე. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ამ მეტროსადგურების სარეაბილიტაციოდ გამოყენებული მასალა ადვილად აცხვება, რაც კანონის უხეში დარღვევაა”, – აცხადებს ნიკოლოზ მუჟაანაძე.

არსებობს საქართველოს შიშისტრის ბრძანება 449 საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ, რომლის მეოთხე პუნქტშიც ვკითხულობთ: “საეკავიაციო გზების (დერეფნების, კიბის უჯრეტები, ევსტიბიულები, პოლები და ა.შ.), კედლებისა და ჭერის მოსაპირკეთებლად, აგრეთვე მიწისქვეშა სათავსებსა და სადგურების ევსტიბიულებში რეკლამის მოწოდებისას დასაშვებია მხოლოდ უფრო მასალის გამოყენება”. როგორც ნიკოლოზ მუჟაანაძე აცხადებს, არ არსებობს დასკვნა იმის შესახებ, რომ სარეაბილიტაციოდ გამოყენებული მასალა უსაფრთხოა და მოკლე ჩართვის შემთხვევაში მიუღი მეტროსადგური ცეცხლის აღში არ გაეხვევა:

“ისიც საეჭვოა, რომ, როცა რეაბილიტაცია დასრულდა, ამ სადგურების ჩაბარების აქტს ხელი არაფერს მოაწერა ანუ დანაშაული თავის თავზე, რეალურად, არაფერი აიღო. ჩვენ სწორედ

ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ის თანამშრომლები დაგვიკავშირდნენ, ვინც ამ საქმეში უშუალოდ მონაწილეობდნენ. აქამდე სხვადასხვა ტექნიკური მიზეზით, პატარა, ლოკალური ხანძარები ხდებოდა, მაგრამ ერთხელაც, სერიოზული ხანძარი რომ განდგეს, შესაძლოა, ათეულობით ადამიანი დაიღუპოს. სხვათა შორის, ამ მცირე ტექნიკური გაუმართაობის მიზეზი ისაა, რომ 2010 წლის შემდეგ მეტროსადგურები საერთოდ არ შემოწმებულა. 4 წელია, არაფერი იცის, რა მდგომარეობაშია გვირაბები, სად რამდენი წყალი ჩადის და ა.შ. მეტროპოლიტენის თავისი შიდასამსახური, ცხადია, ჰყავს, მაგრამ მათ დამოუკიდებელი სტრუქტურა არ ამაწმებს. ვესაუბრები მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობასაც და მივიღეთ პასუხი, რომ გამოყენებული მასალა სტანდარტებს აკმაყოფილებს, მაგრამ ეს სიცრუეა! თუ ასე არ არის, წარმოადგინონ ექსპერტის პასუხები, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ეს თემა უნდა შეისწავლოს, დაიდოს დასკვნა, შეკეთდა თუ არა მეტრო აალებადი მასლით და, თუ ეს დადასტურდა, მასწინ პლასტმასები სასწრაფოდ სხვა მასალით უნდა შეიცვალოს. სჯობს, გაზარდულ კედლებს უფრო, ვიდრე მოქალაქეების სიცოცხლეს ყოველდღე საფრთხე ემუქრებოდეს. ამ საკითხს ბოლომდე მივყვებით – ყველა ინსტანციას, მათ შორის პროკურატურასაც ოფიციალურად წერილობით მივმართავთ. ეს ხომ სამართლიანობის აღდგენის ყველაზე უფალი თემა არაა – საქმე ათასობით მოქალაქის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას ეხება!”

რამდენიმე საგანგაშო ფაქტის შესახებ დამოუკიდებელი სახანძრო ექსპერტი გიორგი ნიკოლაიშვილი საუბრობს და ამბობს, რომ უტყუარი ინფორმაცია მეტროპოლიტენის ერთ-ერთმა ყოფილმა მფლობელისთანაა მიწოდებული. გიორგი ნიკოლაიშვილი იმ კონკრეტულ გვირაბზეც ასახელებს, ვინც მეტროპოლიტენის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი:

“140-ე საიდუმლო ობიექტის შესახებ რამე გსმენიათ? ეს სპეცდანიშნულების ობიექტი გაუმარტებული გვირაბია, რომლის ნაწილი ყოფილი პიონერთა სასახლის ქვეშ გადის. იცით, “რუსთაველი 2” ხაზის არსებობის შესახებ? ეს “რუსთაველი 2 – ვარკეთილის” 600-მეტრიანი გვირაბია, რომელიც ასევე გაუმარტებულია. თაუკაშვილის ქუჩა, რომელიც ოპერის უკან მდებარეობს, შესაძლოა, საერთოდ მიწის ქვეშ ჩაფარდეს, რადგან გაუმარტებული გვირაბი მიწის ზედაპირიდან 40 მეტრზეა. იცით, რა მდგომარეობაშია მეტროსადგურ “ახმეტელთან” სამოქალაქო თავდაცვის ობიექტი ან რა ხდება ნათელულში? საბურთალოს ხაზის გაჭრა რომ უნდათ, ეგ გვირაბი უკვე არსებობს და ისიც გაუმარტებულია, ასე რომ, შესაძლოა, ვაუა-გაუმარტებულია გამზირის ნაწილიც მიწაში ჩაფარდეს. ნაბლიან სეისმურ ზონაში ვიმყოფებით და გამოირცხვლი არაა,

რამდენიმე ძლიერ რყევას დედაქალაქში მსხვერპლი მოჰყვეს. არც ის ვიცით, რა მდგომარეობაშია წყალსაქანი ტუმბები, სპეცსადენები და ა.შ. ყოველ წელიწადს ახალი ბზარების თავიდან ასაცილებლად გამარტებითი სამუშაოები უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ამაზე ფული არ იხარჯება და ხალხის სიცოცხლე ფეხზეზე ჰკიდიათ! სასწრაფოდ უნდა დაიწყო გაუმარტებული მეტროსადგურების კონსერვაცია, რასაც თავისი წესი და რიგი აქვს და საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. იმასაც გეტყვით, რომ იმ პლასტმასის წესი შედეგად, რაც რამდენიმე მეტროს გვირაბშია აკრული, მაგალითად, “წერეთელი”, უამრავი მომჭამელი ნივთიერება გამოიყოფა. შესაბამისად, ხანძრის დროს, ცეცხლს რომ გადაურჩეს, ხალხი კვამლში დაიხრბობა და გვირაბიდან ამოსვლას ვერ მოასწრებს...”

2012 წელს, ეკონომიკის სამინისტროს მფლობელებმა და ტექნიკურ ზედამხედველობის სამსახურმა მიიღეს კანონი “უსაფრთხო პროდუქტის შესახებ”, საიდანაც ამოღებულია მეტროპოლიტენის შემოწმების პუნქტი. ეს უკვე პოლიციის, პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის გასარკვევია. ამაში ჩართულნი არიან თბილისის მერია და ეკონომიკის სამინისტრო. ვასახელებ გვარებს: ყოფილი მერი გიგი უგულავა, ტექნიკური და სამშენებლო სააგენტოს უფროსი გიორგი კაკაურიძე, მისი მოადგილე რამაზ თბილაძე, ასევე ეკონომიკის მინისტრის ნაციონალი მოადგილეები, რომლებიც კვლავ ძველ პოსტებს იკავებენ და ამ საკითხებს კურირებენ, ამიტომ მივმართავ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, შს მინისტრ ალექსანდრე ჭიაბიძეს, ფინანსურ პოლიციას – ნება იბოძონ და ეს პრობლემა სწრაფად მოაგვარონ!”

რა დაჯდა 2010 წელს მეტროსადგურების რეაბილიტაცია, რა მასალით მოპირკეთდა მეტროს გვირაბები, არის თუ არა ეს მასალა ადვილად აალებადი, რატომ არ ამოწმებს თბილისის მეტროს არც ერთი დამოუკიდებელი სტრუქტურა და რა ელის თბილისის ცენტრალურ უბნებს, რომლის ქვეშაა გაუმარტებული გვირაბები გადის? – ამ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალება თბილისის მერიასაც მიეცემა. არასამთავრობო ორგანიზაციის ბრალდებაებს შს “თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” პრეცედენტის წარმომადგენელმა, თამაზ რობაქიძემ უპასუხა:

“2010 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით დადგინილი პროცედურების შესაბამისად, განხორციელდა მეტროსადგურ “დიდუბის” სარემონტო სამუშაოები. გაფორმებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები, კანონმდებლობით დადგინილი წესით. შესრულებულ სამუშაოებზე არსებობს სამხარაულის ექსპერტის ბიუროს

დასკვნები. სამუშაოების საერთო ღირებულება 716.043 ლარი შეადგინა... ჩვენმა კომპანიამ მიიღო საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის, საშიშ საწარმო ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის ორი უფადო ნებართვა: ნებართვა №50/142 – “საშიშ საწარმო ობიექტების (ესკალატორების, ტერთაშვე მექანიზმების, ლიფტებისა და წნევაზე მოშუავე ტურბინების) ექსპლუატაცია” და ნებართვა №01/133 “თბილისის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა გამონამუშევრების და ხელოვნური ნაგებობების ექსპლუატაცია, ტექნოლოგიურ ციკლში არსებული საშობო მანქანა-მექანიზმების გამოყენებით”. აღნიშნული ობიექტებზე ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი. ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციას აქვს შესაძლებლობა, კომპეტენციის ფარგლებში, ნებისმიერ დროს შეამოწმოს მეტროპოლიტენის უსაფრთხოება. მეტროპოლიტენის მოქმედი ყველა (როგორც მიწის ზედა, ასევე მიწისქვეშა განლაგების) სადგურის (მათ შორის “რუსთაველი” და “თავისუფლების მოედანი”) და ექსპლუატაციაში მყოფი ყველა გვირაბის მოვლა მიმდინარეობს კომპანიის მოქმედი “მეტროპოლიტენის ხელოვნური ნაგებობათა მიმდინარე მოვლა-შენახვის ინსტრუქციის” მოთხოვნათა მიხედვით. მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ არსებობს არანაირი წინაპირობა, რომ რომელიმე სადგურს რამეტიანი საფრთხე ემუქრება!”

შს “თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” ხელმძღვანელ არგუმენტებს არასამთავრობო ორგანიზაცია “უფლებადამცველთა გაერთიანების” ხელმძღვანელი ნიკოლოზ მუჟაანაძე აბათილებს:

“სამხარაულის ექსპერტიზა ყალბი და შეუთხზილ დასკვნების გაცემითაა ცნობილი. საიდუმლო არც ისაა, რომ ისინი სახელმწიფო დაკვეთას ასრულებდნენ. გასარკვევია, დასკვნა საერთოდ რაზე გასცეს და თუ მართლა არსებობს დოკუმენტი, ამის გამო პასუხს მათაც მოეთხოვებათ. დანამდებლებით ვიცი, რომ მეტროსადგურებში აალებადი მასალა გამოყენებული და ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიებისკენ მოუწოდებთ. გაისინეთ “ვაზ-ტრანსვაზის” მიღების სკანდალი – თავად ეს კომპანია ამბობდა, სახელში შეყვანილი მიღებით გაზის მიწოდება უსაფრთხოა, მაგრამ აღმოჩნდა, პლასტმასის მიღების გამოყენება მხოლოდ წყალგაყვანილობის შემთხვევაშია დასაშვები. არც ის მიკვირს, მერიაში ისეთი კაცი ეპოვათ, ვინც ამ შეუთხზილ დასკვნებსა და მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს მოაწერდა. თუკი ყველაფერი მოწმდება, მაშინ 2 თვეში ერთხელ, სხვადასხვა მეტროსადგურში, ხანძარი რატომ ჩნდება? პირდაპირ, ამ საქმის გამო გიგი უგულავა პასუხისცემაში მიეცემა!”

6. კომპანიამ

რისი თქმა ვერ მოასწრო დედუ დადიანმა?..



გთავაზობთ საინტერესო მასალებს სხვადასხვა ბეჭდური გამოცემების არქივებიდან. ამჯერად წარმოგიდგინებ პუბლიკაციას, რომელიც დედუ დადიანის მკვლევარს ეკუთვნის.

22 იანვარს, დაახლოებით დღის 12 საათზე, კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს დედუ დადიანს სპორტის დეპარტამენტის შენობის შესასვლელში ესროლეს. დადიანი შენობის მესამე სართულზე მდებარე, თავისი სამუშაო კაბინეტისკენ მიდიოდა: მას კალათბურთის ფედერაციის წევრებთან შეხვედრა ჰქონდა და გაგვიმღიოდა. ტრაგედია ამ შეხვედრამდე ერთი საათით ადრე დატრიალდა...

დედუ დადიანი 1969 წელს დაიბადა. დედა – გურანდა დადიანი – მამის გარდაცვალება, როცა დედუ ექვსი წლის იყო... მისი აღზრდა მამამ და ძმამ – დედუზე ექვსი წლით უფროსმა ლევანმა იტვირთეს, დედუს უძევლობა არ აგრძობინეს...

კალათბურთის თამაში დედუმ საკალათბურთო გუნდ "მარტვეში" დაიწყო. შემდეგ "დინამოს" სათადარიგო შემადგენლობაში გადავიდა. ფიზიკულტურის ინსტიტუტში სწავლისას, მისი სახელი ყველა გოგონას პირზე ეკერა. მასზე უზომოდ შეყვარებულ ერთ-ერთ სტუდენტს ხალხური სიმღერა გაუერთმისებია და დაინახავდა თუ არა დედუს, თურმე სიმღერას იწყებდა: "დადიანო, დადიანო, გული არ დამიდარდიანო..." დედუ ამის გაგონებაზე მთელი ხმით ხარხარებდა და შეყვარებულს გოგონას მიმართ საოცარ მზრუნველობას იჩენდა...

შემდეგშიც ბევრჯერ მოუხდა, დედუს, მასზე შეყვარებული ქალების ხილვა, მისი მკვლევარობის ერთ-ერთ ვერსიასაც ხომ ერთ ცნობილ ქალს უკავშირებენ. "ისეთი დამაბნელებელი იყო დედუ, რომ ყველანაირ დანაშაულს აპატიებდი", – გამომხილეს მისმა თანამშრომლებმა. როცა "ვითას" საკალათბურთო გუნდში თამაშობდა, შეჯიბრებებსა და ვარჯიშებზე უმეტესობა სწორედ დედუს სანახავად დადიოდა.

ქალებისგან განხიზვერებულმა დედუმ ცოლის მოყვანა ვერ მოასწრო. ისე გარდაიცვალა, რომ მისთვის "მამა" არავის დაუძახია. ცოლ-შვილი არ ჰყავდა. მკვლელობის დღეს თავის დის – მკას ბინიდან ჩვეული დიმილით გამოვიდა და სამსახურში წავიდა. მამის არავის შექმლო ეფიქრა, რომ უკან თავისი ფეხით ვეღარ დაბრუნდებოდა და ერთი საათის შემდეგ, დედუზე უკვე "იყოთი" ისაუბრებდნენ...

მკვლელობის ადგილზე მისულებს, გაოგნებული თანამშრომლები დაბნეული სახეებით მოგვანერდნენ. ისევ კიბეზე ეგლო ქული, რომელიც დედუს დაცემის შემდეგ დაუვარდა... გასროლა "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან მოხდა. მოკლულს სამი ჭრილობა აქვს მიყენებული, მათ შორის ერთი – ფილტვში. ნაპოვნია მასრები. არსებობს მოწმე, რომლის ვინაობასაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არც ჩვენ ვასახელებთ: მან დაინახა, როგორ გარბოდა მკვლელი შემთხვევის ადგილიდან, როგორ გამოვარდა იგი, ფეხათრეული, შენობიდან და გაიქცა. მკვლელს ემჩნეოდა, რომ დედუსთან ფიზიკური შეხლა-შემოსლა ჰქონდა, რის შედეგადაც ფეხი იტკინა და სირბილი უჭირდა, ფაქტობრივად, ცალ ფეხს მიათრევდა. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მარცხენა ფეხი აუცურდა, ან ფეხები ერთ-

მანეთში აებლანდა, და შენობის კუთხესთან დაეცა, ასფალტზე გაიშხლართა. რა თქმა უნდა, შეიარაღებული მკვლელის დაჭერა არავის უცდია.

პირველად დედუ შენობის კომენდანტმა ნახა... იქვე, კიბეზე დედუს იარაღიც ეგლო. როგორც ჩანს, მან გასროლა ვეღარ მოასწრო. დეპარტამენტის თანამშრომელმა ჯაჯა (მაღხაზ) დაცვაობიერ დედუ მეგობრის მანქანაში ჩასვა და მე-9 საავადმყოფოსკენ გააქანა. გზაში დედუ ცდილობდა, რაღაც ეთქვა, წვალობდა, პირს ადებდა და უნდოდა მაღხაზისთვის რაღაც გაეგებინებინა, აეხსენა, მაგრამ ვერ მოასწრო, გაითიშა. მაღხაზი კი, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით ვერავფერს მიხვდა, დედუს ხმა აღარ ამოსდიოდა...

შეკვლით დაგვედგინა იმ ადამიანების ვინაობა, რომლებმაც მკვლელობის შემდეგ, პირველებმა დაათვალიერეს ადგილი, სადაც სასიკვდილოდ დაჭრილი დედუ დადიანი დაგარდა. ძირს ეგლო მისი ქული, საბუთები, იარაღი, იქვე ყვარა მასრებიც...

ერთ-ერთი ვერსიით, რამდენიმე წლის წინ დედუს, ადამიანი შემოაკვდა, რის გამოც იგი აშშ-ში სამი წლის განმავლობაში იმალეობდა. იქიდან დაბრუნებულმა დედუმ იარაღი შეიძინა, რადგან იცოდა, მოკლულის ნათესავები შურს იძიებდნენ...

არსებობს ისეთი ვერსიაც, თითქოს დედუ დადიანმა კახინში უამრავი ფული წააგო და მკვლელობა, წაგებული თანხის გადაუხდელობის გამო მოხდა. მაგრამ სანამ ძიება არ დასრულდება, ყველა ვერსია ქალაქში ჭორის დონეზე იტრიალებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მოკლეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც თბილისს უხდებოდა, ვისაც თბილისელობა უხდებოდა და ვინც თბილისის კოლორიტი იყო.

...დედუს მამა – ბატონი რობიკო დადიანი, წლების მანძილზე ავტორპოფილიაქტორიუმში მუშაობდა. დედუს და – მკა გათხოვილია, ჰყავს თექვსმეტი წლის გოგონა, ეკა. დედუს ძმა – ლევანი ორი შვილის მამაა. მისი რვა თვის ვაჟი – სანდრო, დედუს თურმე მთელ ქვეყანას ერჩივნა.

ლევან დადიანი, დედუს ძმა – ადამიანი, რომელიც დედუს იცნობდა, თუნდაც შორიდან, მას არ მოკლავდა. დედუ არაჩვეულებრივ ბუნების ბიჭი იყო. მისგან დიდი ენერჯია მოდიოდა. ბავშვობაში ვერცხლისწალიყვითლი სწრაფი და მოუსვენარი იყო. წუთით არ განერდებოდა, არ დაისვენებდა. ვისაც არ უნდა გაეცნო, ყველა მიხედებოდა, რომ მას სიცოცხლე უყვარდა. ეს ერთი შეხვედრითაც ჩანდა. ყველაფრის მოსწრება უნდოდა, ყველაფრის გაკეთება ეჩქარებოდა, ყველას ეჯიბრებოდა სიყვარულში... ჩემს ხელში გაიზარდა დედუ, როგორც ყველა უფროსი ძმის, მეც მიწვევდა მისი დაცვა, გაფრთხილება. ასე ხდებოდა გარკვეულ ასაკამდე. მერე ჩვენ შორის, ასაკობრივი ზღვარი წაიშალა. დედუს წლები რომ მოემატა, ჩვენ მეგობრები ვავხდით...

– მისმა მეგობრებმა მითხრეს: დედუსგან ბევრი რამ ვისწავლეთო. თქვენთვის თუ იყო რამით მისაბაძი? თუ გემაყვებოდათ მისი ძმობა?

– ჩემთვის დედუ იყო მისაბაძი. უდიდესი მიზანსწრაფვა ჰქონდა სპორტში, პირად საქმეშიც. თუ რამიეს მიზნად დაისახავდა, უმჯობესად აისრულებდა. ნებისმიერ წინააღმდეგობას გადალახავდა. მისთვის გადაუღალახავი ბარიერი არ არსებობდა.

– რა გეგობებოდა ჰქონდა დედუს?

– მე რვა თვის ბიჭი ვიყავ. როცა სანდროს სახით, ჩვენს ოჯახში გვარის გამგრძელებელი განჩნდა, დედუმ აღარ იცოდა, სიხარულით რა ექნა... მამის თქვა, რომ თვითონაც უნდოდა, ცოლი მოეყვანა და შვილები ჰყოლოდა. მე ძალიან დავაგვიანე ცოლის მოყვანა, რასაც ვნანობ. სულ ვუბნებოდი ჩემს ძმას: ჩემს შეცდომას ნუ გაიმეორებ, რაც უფრო ადრე წამოგვზრდება შვილები, მით უფრო ბედნიერი კაცი იქნები-მეტი.

– გინახავთ შეყვარებული დედუ?

– მინახავს შეყვარებულიც, იმედგაცრუებულიც. ძალიან სუფთა გული ჰქონდა მას, ზოგჯერ მიაძინებოდა იქცეოდა, მიუხედავად იმისა, რასაც მის შესახებ ჰყვებოდნენ. ამბობდნენ, თითქმის გარემოცემული იყო თავყვანისმცემელი ქალბატონი. სინამდვილეში, ის ერთგული და მოსიყვარული ქმარი იქნებოდა. მე არც მინახავს

მასზე უფრო ერთგული შეყვარებული... საოცრად სუფთა ბუნების კაცი იყო. სახლშიც, ოჯახის წევრებს ყოველ წუთს უმტკიცებდა, თავისი ქცევით, როგორ უყვარდა ისინი. მაგრამ მათგან, ვინც უყვარდა, ძალიან ბევრსაც ითხოვდა. ტყუილი არ უყვარდა. ტყუილის თქმას ძველად თუ აპატიებდა ვინმეს.

– ნაცემი დედუ თუ გინახავთ?

– როგორც ყველა ბიჭი, ისიც გაღალატდა და მასაც გაუღალატეს სხვები, მაგრამ მე, როგორც უფროსი ძმა, ყოველთვის მისი დამცველი ვიყავი. ნებისმიერ კონფლიქტში ჩავერეოდი და მიჩხუბარ მხარეებს შევარტივებდი ხოლმე. სანამ მისი დაცვა და გაფრთხილება ჩემი მოვალეობა იყო, სანამ დედუ დავაჟავა და უკვე თავად შექმლო საკუთარი პიროვნების დაცვა, მანამ მე ვეხმარებოდი, ვიცავდი.

– ამერიკაში წასული დედუ თუ ამჟღავნებდა, რომ ენატრებოდათ და უთქვენოდ გაძლება უჭირდა?

– სულ გვირეკავდა, თითქმის ვერ ვერძობდით უმისობას. სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად ჩამოვიდა ამერიკიდან. CNN-ში ნახა კადრი, თუ როგორ ისხდნენ თბილისის ომის დროს, ტელევიზიის შენობის ფოიეში მისი შეიარაღებული მეგობრები. ეს რომ დაინახა, სასწრაფოდ ბილეთი აიღო და ჩამოფრინდა. არ ველოდი, წამოსვლა დაგეგმილი არ ჰქონდა, აწყობილი ცხოვრება მიატოვა, ისეთი პირობები დათმო, რომელზეც აქედან წასულები ოცნებობენ... ისე უყვარდა თავისი მეგობრები, რომ მათი მხარდაჭერისთვის მშვენიერად და უზრუნველ ცხოვრებაზე თქვა უარი.

– როდის იყო დედუ ყველაზე ბედნიერი?

– ალბათ მე რომ ცოლი შევირთე, მაშინ. შემდეგ კი, როცა გვარის გამგრძელებელი დაიბადა, გვიღებოდა სანდროზე. თავად დედუ, 19 მაისს არის დაბადებული, სანდრო კი 20 მაისს განჩნდა. დედუ გერმანიაში მიფრინავდა ჩარტრული რეისით, სადაც სხვა თვითმფრინავში უნდა გადაემჯღარიყო და სწორედ იმ აეროპორტში დაფურეკეთ: გადაიარა – ჩემს გაფრენას ელოდებოდა ეგ მაიმუნიო?!

– სახელი ვინ დაარქვა? ვისი სახელია დედუ?

– დედუ მას მე დავარქვი; ჩემს ბავშვობაში მქონდა ფრანგული პურნალი – "პიფის თავგადასახალი", სადაც პიფი იყო ძალიან და ჰყავდა პატრონი, დედუ – პატარა ოქროსკულელებიანი ბიჭი. სულ ვამბობდი: თუ დედას ბიჭი გაუნდებდა, დედუ დავარქვამოქო... გაათმაგებულ გექნოდა ოჯახში დედუს მიმართ მზრუნველობა... ყოველთვის მეგონა, რომ ყველაფერი ვიცოდი მის შესახებ.

– დედუს შესაძლებელი თუ იყავით?

– მე ვთვლი, რომ ვიყავი... ჩვენ ისეთი ძმობა გექნოდა, ბევრს რომ საოცნებოდ აქვს. მას შექმლო, მოსულიყო, ჩამხუტებოდა და ჩემთვის თავისი გულსინდელი ეთქვა.

– თუა შესაძლებელი, დედუ ქალის გულსინდელი ან ვალების გამო მოეკლათ?

– მას არასდროს ცხოვრებაში არავისი ვალი არ ჰქონია. ქედმაღალი ბიჭი იყო, ვალში არავისთან დარჩებოდა – არც ქალთან, არც კაცთან.

– ბოლო პერიოდში თუ ჰქონდა რაღაც განსაკუთრებული პრობლემები?

– არა, არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. მართალია, ბევრ საქმეს იყო მოდებული, მაგრამ არაკაცურს არაფერს გააკეთებდა. ჩემთვის ეს მკვლელობა ძალიან მოულოდნელი იყო.

– სიმართლეა, თითქოს დედუს ემუქრებოდნენ?

– არა. ასეთი რამ რომ გამეგო, ან მე ან მის ნებისმიერ მეგობარს, როგორ მოვიხვედებით?! როგორ ვიცხოვრებდი, თუ მეცოდინებოდა, რომ მის სიცოცხლეს ვინმე ხელყოფდა? მკვლელობის წინა დღეს, დამის პირველ საათამდე ჩემთან იყო. ბავშვებს ეთამაშებოდა. "საჯარაში" მანქანა თამაშებდა 23 იანვარს. თქვენ კარგი ხელი გაქვითო, – უთხრა ჩემს გოგონას და ჩემს დისშვილს და ბილეთები მათ შეავსებინა. მერე რუსეთიდან ჩამოტანილ ფედერაციის წესდებებს კითხულობდა, ხაზს უსვამდა თითოეულ ადგილს, რომელიც მოსწონდა. მეუბნებოდა: აი, რამდენს რამე გვაქვს გადასადებო... მეგობრებს ურეკავს, ხუმრობდა... რას ვიფიქრებდი, რომ მას უკანასკნელად ვხედავდით...

კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს დედუ დადიანს მთელი თბილისი იცნობდა. ყოველთვის გამორჩეული იყო. ისე იცვამდა, მოდას რომ უსწრებოდა, – მითხრეს მისმა მეგობრებმა: ყველაზე მუდამ ეკეთა კაშნე, გამუდმებით თავაწული დადიოდა... ქვიფი და დროს ტარება უყვარდა, თუმცა სუფრასთან შეუმჩნეველი იყო, თითქმის ხმას არ იღებდა: ეს ალბათ იმიტომ, რომ ბევრი ლაპარაკი არ იცოდა... სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, თანამშრომელმა წიგნი აწუქა, რომელშიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედება იყო განხილული. დედუმ ამ წიგნის კითხვა ვერ დაამთავრა... როგორც სპორტის აკადემიაში მითხრეს, მან ინგლისური, ესპანური და რუმინული ენები იცოდა. ძალიან წიგნიერი ბიჭი იყო... კალათბურთის შემდეგ, პირველად იღებდა ნადირობას აყენებდა. როგორც ყველა მონადირეს, იარაღის შეგროვებაც უყვარდა: ჰქონდა თოფების კოლექცია და ძველი ხმლები... უამრავი მეგობარი ჰყავდა. თავისი მეგობრების ცხოვრებით ცხოვრობდა. წარმოუდგენელი იყო, რომელიმე მის მეგობარს პრობლემა გასწენოდა და ეს დედუს არ შეეშინა. არავის პირად ცხოვრებაში არ ერეოდა. მისი ახლობლებისთვის განსაკუთრებით გულსატკენია ჭორი, თითქოს დედუ სხვის ოჯახებს ანერგებდა.

ნიკო ჩერქაზიშვილი, მეგობარი: დედუ სიცოცხლით სავსე, ღამაში თბილისელი კაცი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ასაკი დიდი არ ჰქონდა, ჩვენთვის სამაგალითო იყო და მის მეგობრებს ბევრი რამე გვისწავლიდა მისგან. უმტრო კაცი ალბათ არ არსებობს და, ცხადია, მტრები მასაც ყვლობდა, მაგრამ ისეთი მტერი რომელიც ასე გაიმეტებდა, მეგობრებს, რომ დედუს ჰყოლოდა. ღამაში თუ გაჭირვებაში, გვერდში ვევედა სუყველას. მას რომ ფრჩხილი სტკენოდა, ჩვენ ყველას გვეტრინებოდა. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვართ ახლა...

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში აღიძრა. გამოძიების ხელთ არსებული ინფორმაციის შესატყობად, პროკურორის მოადგილეს ლაიპერტი დედაშვილს მივმართეთ.

ლაიპერტი დედაშვილი: – სავარაუდოდ, დედუ დადიანი სამსახურში თავიდან, "მერსედესის" მარკის ავტომანქანით მივიდა. იმდენად, რამდენადაც ამ ფაქტს თვითმხილველი არ ჰყავს, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, მარტო იყო თუ არა ის. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან გასროლილი ოთხი ტყვიის მასრა და დადიანის კუთვნილი პისტოლეტი – "ჰელკოქსი". ჰქონდა თუ არა ეს იარაღი მას ოფიციალურად გაფორმებული, შს სამინისტროსგან ამ დღეებში შეიტყობთ.

დავადგინეთ, რომ აღნიშნული პისტოლეტიდან გასროლა ნაწარმოები არ არის. რაც შეეხება აღმოჩენილ ტყვიის მასრებს, ისინი ექსპერტისაზრდას გადაგზავნილი, იკვლევინ და იქედან, დამაშავის იარაღის შესახებ მეტ ინფორმაციას ველოდებით. გარდაცემულის სხეულზე დაფიქსირებული დაზიანებების შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ პირველადი მონაცემები გვაქვს, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გვამის გარემონი დათვალიერების შედეგად მოგვცეს. ამ მონაცემებით, დადიანს სამი ტყვია მოხვდა – ორი ხელსა და ერთი გულმკერდის არეში, დაფიქსირდა ფიზიკური ძალადობის ნიშნებიც.

რაც შეეხება იმ მოწმეს, რომელმაც სადარბაზოდან გაქცეული პიროვნება შენიშნა, მისი ვინაობის გამხელა ამ ეტაპზე არ შეიძლება. მან მხოლოდ ის გვითხრა, რომ მის მიერ შემჩნეული ადამიანი საშუალო სიმაღლის და გამხდარი იყო, ტანზე ღურჯი ქურთუვი ეცვა, სახის მარცხენა მხარე კი, გასისხლანებული ჰქონდა. მოწმის თქმით, სახეზე იგი მას კარგად არ დაჰკვირვებია.

ლაიპერტი დედაშვილი განაცხადა, რომ მკვლელობის მოტივის შესახებ გამოძიება რამდენიმე ვერსიას ამუშავებს, თუმცა, ვერსიების გამოკვეთება ამ ეტაპზე ძიების ინტერესების გამო დაუშვებელია. "ამჟამად ვარკვეთ, ჰყავდა თუ არა პირადი მტრები დედუ დადიანს, ვცდილობთ დავადგინოთ, ვინ არიან ისინი", – გვითხრა პროკურორის მოადგილემ.

ლელა ჯანკოტაძე
მედი ცანავა

“დაკარგული” საქართველოს ისტორია – მსოფლიო მკითხველისთვის



პიტერ სკინერი ბრიტანული წარმოშობის თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსია, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და რედაქტორი. როგორც მკითხველს “ისტორიანის” 2014 წლის იანვრის ნომერში, რუბრიკით “აღმოსაჩენი საქართველო” ვატყობინებდით, პიტერ სკინერი დაინტერესებულია საქართველოს

ისტორიითა და კულტურით. მან რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში და გადაწყვიტა, ჩვენი ქვეყანა უფრო ახლოს გაეცნო მთელი მსოფლიოსთვის, რადგანაც, მისი აზრით, საქართველოს მსოფლიო ისე საფუძვლიანად არ იცნობს, როგორც საქართველო და რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია უცხოურ გამოცემებში ხშირად წარმოდგენილია, როგორც ერთი უმნიშვნელო ნაწილი სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის ისტორიისა.

ამერიკელი მეცნიერი მუშაობდა დაპირებულ წიგნზე The Land Below The Caucasus (“საქართველო: მიწა კავკასიის ძირას”). ეს სწორედ ის წიგნია, რომლითაც პიტერ სკინერს ინგლისურენოვან მკითხველამდე საქართველოს ისტორია მიაქვს. როგორც აღვნიშნავდით, სკინერი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში

ვერდობა ინგლისურ ენაზე არსებულ, მაგრამ აქამდე უგულებელყოფილ მრავალ წყაროს. მეკლევარმა ამასთანავე, მოიპოვა არაერთი ისეთი საინტერესო წყაროც, რომლებსაც ქართველი მკითხველი ჯერ არ იცნობს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, ეს ძალიან საფუძვლიანი მცდელობაა, საქართველო და მისი ისტორია მსოფლიომ დაუმახინჯებლად გაიცნოს, ისეთი სახით, როგორც თავი არაერთ უცხოელ მოგზაურსა თუ მეკლევარს ხიბლავდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. “როგორ შეიძლება ეფექტიანად წარმოვანიროთ საქართველო ფართო მასშტაბის საბიბლიოტეკით, მოყვარული მკითხველისთვის (იგულისხმება ინგლისურენოვანი მკითხველი. – რედ.)? უშიაერესი, რაც უნდა გაკეთდეს, ასევე პირველი სასიცოცხლო ნაბიჯი მიზიდველი წიგნის გამოცემაა

– კარგად ილუსტრირებული, მკითხველისთვის შთამბეჭდავი, საქართველოს ისტორია არაქართველებისთვის, რომელიც მუდმივად გამოიცემა ხელახლა და რაც მთავარია, ხელმისაწვდომ ფასებში. დღევანდელ ვიზუალურ სამყაროში, სადაც ყველაფერი ეკრანიზებულია, წიგნი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ფერად რუკებს. ქვეყნის ისტორია უნდა წარმოვიდგავს არა მხოლოდ თხრობის საშუალებით, არამედ ვიდეოკლიპების სხვადასხვა ვიზუალური საშუალებით უნდა დაგვანახოს. ეს შეიძლება მოხდეს რუკებით ან ძველი ჩანახატებით, რაც სათანადო წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს”, – წერდა ბატონი პიტერ სკინერი. აღსანიშნავია, რომ “ისტორიანის” იანვრის ნომრის გარეკანს სწორედ ამ წიგნის ერთ-ერთი ილუსტრაცია ამშვენებდა, ხოლო

სტატიაში მოყვანილი იყო მანანა შევილაძის მიერ ამ გამოცემისთვის სერუპულოზურად შედგენილი სხვადასხვა ეპოქის საქართველოს ისტორიული რუკები.

ახალგამოცემული წიგნით The Land Below The Caucasus-ი ამერიკელმა მეცნიერმა შეძლო დანაპირების შესრულება. წიგნი უკვე იყიდება ნიუ-იორკში, ნაწილი გაიყვანა ლონდონში, ოქტომბერში კი მას თბილისში ჩამოიტანენ. ავტორებისგან წიგნს ითხოვენ აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკა, ოქსფორდის, პარვარდის უნივერსიტეტები და მრავალი სხვა ინსტიტუტი. ერთი სიტყვით, დასავლეთის ისტორიული და სამეცნიერო წრეებისთვის საქართველოს მიუკერძოებელი ისტორიის გაცნობა უკვე დაწყებულია.

ს. შოშიტაშვილი

როგორ ცდილობდნენ ძალები ბალაკტიონის მოხიბვლას



სულ რაღაც 200-300 კომლით დასახლებული, ხარაგაულის რაიონის სოფელი ფარცხნალი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალურია. ამ პატარა სოფელმა საქართველოს ოთხი აკადემიკოსი, ორმოცდამეოთხეულობის პერიოდში, კულტურის, პედაგოგიური სფეროს არაერთი დიდი მოსილი ადამიანი აღუზარდა. ხუთი მათგანი საქართველოში სხვადასხვა მეცნიერების ფუძემდებელი გახდა. მათ შორის არიან: ვეგენი ხარაძე, ასტრონომიული მეცნიერების ფუძემდებელი; მისი შვილი არიან ხარაძე, გამონივნილი მათემატიკოსი; უდიდესი დრამატურგი – კიტა ბუაჩიძე; მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი და რეჟისორი – რეზო თაბუკაშვილი; მისი შვილი ლაშა თაბუკაშვილი; ნადეჟდა ხარაძე – ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი... ჩამონათვალი ვრცელია... სიმბოლურია, რომ სწორედ ამ სოფელში 1910 წლის გაზაფხულზე დაწყებით სკოლაში მასწავლებლად გაანაწილეს 19 წლის გალაკტიონ ტაბიძე. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი, რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი, ხარაგაულისადმი მიძღვნილი ოთხტომეულის ავტორი – იზა ვეფხვაძე მოგვითხრობს:

მოსწავლეებს ორი პედაგოგი ჰყავდათ: გალაკტიონი და დვთისმეტყველების მასწავლებელი, დეკანოზი სიმონ ხარაძე. დვთისმეტყველების მოძულე გალაკტიონი ვერ იქნა და ვერ შეეთვისა, ვერ გაუშინაურდა სიმონს. დეკანოზი ბრაზობდა, რადგან ვერაფერი მოუხერხა თავისუფლების იდეით შეპყრობილ ახალგაზრდა პედაგოგს, რომლის სიტყვა და მოწოდება ანდამატივით იზიდავდა ბავშვებს.

– პოეტი მოსწავლეების მიმართ მკაცრი იყო?

– მოსწავლეების მიმართ გამორჩეულად გულისხმიერი ყოფილა. ერთხელ, გაკვეთილზე გალაკტიონის საყვარელი მოსწავლე – ერმალოზ ბუაჩიძე არ გამოცხადებულა. გაკვეთილების შემდეგ მასწავლებელი მის სახლში მისულა. ერმალოზის დედას მოუბოდიშებია: ერთადერთი შარვალი გაუფრთხვებია, გაშრობა ვერ მოასწრო და გაკვეთილებიცი ამიტომ გაუცდაო. გალაკტიონს ჯიბიდან 50 კაპიკი ამოუღია და ბიჭის მშობლებისთვის უთქვამს, – ამ ფულით ერმალოზს შარვალი უყიდეთო. ერთ დღიან, სკოლის ეზოში შესულ გალაკტიონს არასასიამოვნო სურათი დახვედრია: წინაღმეს ძლიერ ქარს ეკლესიის ეზოში დარგული ხუთწლიანი ცაცხვის ნარგავი ამოუღია. გალაკტიონმა მიწის ფხოტა დაიწყო თურმე. ამ დროს ეზოში მისი მოწაფე, ერმალოზი შემოსულა. გალაკტიონს უთხოვია: არიქა, ერთი სარი მიშოვე სადმეო. მერე ცაცხვის ხისთვის მიწა მიუყრია, ჭიგო დაუსვია და ზედ მიუკრავს. განსაკუთრებით პაპრონობდა თურმე ცაცხვის ახალგაზრდა ნერვს – წყალს უსხამდა, ელოდებოდა. სოფელში ამ ცაცხვის ხეს დღესაც “გალაკტიონის ცაცხვს” ეძახიან. სხვებისგან განსხვავებით, გამორჩეული და მკერდგანიერიცა. თუმცა ამაში გასაოცარი არაფერია – ის ხომ გალაკტიონის ხელშეწავილია...

– ალბათ გალაკტიონის პედაგოგიური საქმიანობა მხოლოდ გაკვეთილის ჩატარებით არ შემოიფარგლებოდა.

– ნამდვილად. ის სოფელში ხშირად აწყობდა ლიტერატურულ საღამოსს, კითხულობდა ლექსებს. ასეთ საღამოებს ბავშვებთან ერთად, მათი მშობლები, სოფლის მოსახლეობა ესწრებოდა. პოეტი პოეზიის, ლიტერატურის, ხელოვნების შესახებ საუბრობდა, მოსახლეობას ქართული ენის სიყვარულს უნერგავდა. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე: კითხულობდა, წერდა, ფიქრობდა. დილით, ჯერ კიდევ მეღამეუწამრად ფურცლებს მაგიდაზე ტოვებდა და სკოლისკენ მიიქარებდა. ამ პერიოდში ჟურნალ-გაზეთებში მისი ბევრი ლექსი დაიბეჭდა. პოეტი ჟურნალის – “თეატრი და ცხოვრება” რედაქტორს, იმედაშვილს სწერდა: “მეირფასო იოსებ! სამი თვის განმავლობაში ჟურნალი მომდოდა. მადლობელი ვარ. ამჟამად გიგზავნი ორ ლექსს. ჩამოსვლით კი, როგორც მსურდა, თბილისში ვერ ჩამოვიდვარ! ბედმა უბრალო სოფლის მასწავლებლობა მარგუნა წილად... სოფლიდან ხალხურ ლექსებს გამოვიგზავნი, თუ მოვახერხებ, მშვიდობით. მარად თქვენი პატივისცემული, გალაკტიონ ტაბიძე”.

– სოფელში მის პირად ურთიერთობებზე თუ არის რამე ცნობილი?

– დღემდე ამბობენ, – გალაკტიონმა საცხოვრებლად ხარაძეთა უბანი იმტოო აირჩია, რომ იქ სოფლის ლამაზმანები ცხოვრობდნენო. ვინ იცის, იქნებ, ასე არც იყო, ის კი დანამდვილებით იცოდნენ სოფლის ჭორიკანა დედაკაცებმა, რომ ემაწვილ მასწავლებელს ბუაჩიძეთა და ხარაძეთა გაუთხოვარი ქალიშვილები ნამდვილად აწონებდნენ თავს. სოფლის წყაროსთან, სადაც სკოლისკენ მიმავალ გალაკტიონს უნდა გაეგლო, მისი ყურადღების მისაპრობად, ემაწვილი ქალები მთელი დღე რეცხავდნენ. ამის შემხედვარე აბესალომ ბუაჩიძეს უხუმრია: ჩვენმა სოფლის მასწავლებელმა გოგონებს რეცხვა ასწავლაო. თავად გალაკტიონს სოფელში ხანმოკლე, მაგრამ მხურვალე გატაცება ეწვია. ეს იყო რაისა ჩიხლაძე, ქუთაისელი ლამაზმანი. წერილებსაც სწერდა რაისას, თუმცა გრძობის ამყარა გამხელას ვერც ბოდა, მხოლოდ საკუთარ პოეზიაზე ესაუბრებოდა. რაისა თავშეკავებული გახლდათ. მომავალში გალაკტიონს არასოდეს მოუხსენიებია ეს გრძობა ამდღებულად. ერთ წერილში აქ ურთიერთობას უარყოფითად კი აფასებდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ რაისას უნდა ვუძღვოდეთ რამდენიმე კარგი ლექსის დაბადებას... ფარცხნალში მუშაობის პერიოდში პოეტის მესხურებაში აღბეჭდილა ერთი შემთხვევა, რომელსაც თურმე ყოველთვის სიამოვნებით იხსენებდა: “...როდესაც სემინარიიდან გამოვედი, სადგურ ხარაგაულის ახლოს, სოფელში მასწავლებლის ადგილი მომცეს. კვირა, უქმე დღეებში სოფლიდან სადგურზე ჩამოვიდოდი, აქ თავს იყრიდნენ ჩემი ამხანაგი მასწავლებლები. საღამოობით თბილისიდან მატარებელი ჩამოვიდი და ესეც ერთგვარ სიამოვნებას გვევლიდა. სრულიად მოულოდნელად, რომელიმე ნაცნობი გადმოვიდოდა მატარებლიდან, მოგვიტანდა თბილისის ამბებს, გვეტყუოდა რასმე ნაცნობების შესახებ. ერთხელ დიდხანს ვიდექი სადგურზე... ესაუბრობდი, ვიცინოდით... მატარებელი მოვიდა. იდგა ჯგუფი ახალგაზრდა ქალებისა და მეზაგრებს აფეხობდნენ. ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია. კუბიდან ღმერთით გადმოხედა ბამბის ქულასავით ჭაღარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუცმა... აკაკი! – ჩაილაპარაკა ვიდაცამ. ელქტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველაზე. ერთხანს გაშეშებული ვიდექით, მე ვთვლებით ჭკამდი ამ სახეს. აკაკიმ წაიკითხა სადგურის შენობაზე მიკრული სახელწოდება და ფანჯარა ისევ დახურა. ვხედავ, რომ იგი დინჯად დაეშვა საფარბელში. ყველაღამ იმ კუბისაკენ გაეკანკნენ... ზოგმა მატარებელში შესვლა მოინდომა... დაიკვირა ამ დროს მატარებელმა, მისცეს მესამე ხარი და მატარებელი გაეკანკანა სიბივით გაღვნილ რელსებზე... მე მატარებელს მივეყვი ნელი ნაბიჯით... შემდეგ დიდხანს დაყრუბული ვიდექი... აი, მისი ლექსიც: “მასსოვს ხარაგაულის სეველიანი სადგური, მისი ყრუ სამკაული – აცვივნილი აგური, უშფოთველი ცხოვრება, წყნარი, როგორც გუგული/ მესმის მოახლოებულ ორთქლმავალი გუგუნა”.

– ერთი წლის შემდეგ რატომ დატოვა პოეტმა ფარცხნალი?

არცთუ ისე წარმატებით ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას... სხვათა შორის, ამან გამოიწვია შეტაკება თედო ჟორდანიასთან, რომელსაც სკოლების ზედამხედველობა ევალებოდა. გალაკტიონს ღრმად ჰქონდა შეცნობილი განათლების მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტია, მასწავლებლობა მისი სტიქია არ იყო. როგორც თავად ამბობს, “ზავშეგებთან მეცადინეთა ტენის ულაყებს მხოლოდ”. ერთ-ერთ წერილში წერდა: “საშინლად დაბეგრდი სოფელში. ერთი წელიწადი კიდევ და ბოლოს მომიღებს, თუ ადგილი სადმე ქალაქში არ მომიცეს”. მას ტანჯავდა “ძველი ცოდვები”, ვერ გაამართლა დედის იმედი, ვერ დაამთავრა სემინარია. მატერიალურადც ვერ ეხმარებოდა მშობელს. რაც მთავარია, მის საზოგადოებრივ იდეალებს ფრთხილ შეეკვეცა. ფარცხნალის გარეშე მწერლის ფანტაზია და შთაგონებას ბევრს არაფერს აძლევდა. სულიერ საზრდოს მოწყურებული ახალგაზრდა, ხეირიანი წიგნის წაკითხვასაც ვერ ახერხებდა. ნადეჟდა ვინოზოვი დაიწახა... ასე სწერდა მას, აბესალომს: “ეუფურებ ჩემს საშინლად ხედავს მიყვებულ ადგილში, ცხოვრებას მოწყვეტილი. ირგვლივ ერთი კაციც არ არის, რომ ჩემი გაიგოს და იგრძნოს რამე... ერთი წიგნიც არ ჩავიფარებდა ხელში წასაკითხად. სამაგიეროდ, ღვინო გაგიტაცებს ისე, როგორც ძველად ღმერთი აიტაცებდა ხოლმე მოსესა თუ ილიას, კარგად არ მასსოვს... მარა არც ისე ვთვრები, უგრძობლად რომ იციან. ისე შეეჭვივნიდნენ ხოლმე. ნაადრეგ მოხეს, სულ ცოდად ელოდი, ერთხელ მომივიდა ცუდი საქმე. მე და ორი გიმნაზიელი, რომლებიც აქ დამხვდნენ, ერთად დაგვაპატივეს საღვაც, ძალიან დაუთვრით. როცა წამოვედით, საცალფევო ხიდზე გადავვარდით ორნი, მესამე კი მოგვეშველა. წყალი დიდი არ იყო, როცა გადავვარდით არც კი გაგვივია ეს. მეორე დღეს გვითხრეს ყველაფერი... ყველაფრის იმედი დამეკარგა და ყველაფერი მომეზურდა. ამგვარი უწინმეფელი ჩემი ცხოვრება და უმინო. ამგვარი ერთ-ერთი მოგონებაა და რა უნდა მოგწერო? რაც მოგწერე, იტინიც სისულელეებია, ღმერთმანი. კალმის ხელში ადებაც არ ღირდა. მშვიდობით! გისურვებ გამარჯვებულ ეგზამენებს. დედაჩემის ერთადერთი იმედი ეხლა შენა ხარ. მან დიდი ხანია, გამომიგლოვა... გული მიკვდება, რა ექნა? არაფერი არ შემოძლია!” გალაკტიონს ნათესავები, ახლობლები თავშეკავებას სთხოვდნენ. “გალაკტიონ, დიდათ ვწუხვარ, რომ ღვინოს სმას ესრეთ ჩათვრიდნენ თავის უფსკრულში. რა გემარტობა? დანებე თავი. იცოდე, რომ ეგ არაფერი მარგებელი არ არის... თუ გიყვარდე, გადააგდე ღოთობა!” – სწერდა მას მიხეილ ბოჭორიშვილი. პოეტის პედაგოგიური მოღვაწეობა ერთ წელში დასრულდა... მაშინ, როცა სკოლა დაიხურა. ზოგიერთი მისი ბიოგრაფის თქმით, გალაკტიონი მცირე ხნით ბათუმის მახლობლად მასწავლებლობდა, მაგრამ ეს ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება. ფარცხნალის გარდა, გალაკტიონს პედაგოგად არსად უშუშავია.

შორენა ლაბაძე

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნაღის ბიორბი ჯალაღანის ბია გურული: ჩივაქემ რომ ჩემპიონატზე ვერ ითამაშა, ჩემი ბრალიცაა



გია გურული - ახალი კაცი, კარგი ქართველი, ახლო წარსულში შესანიშნავი ფეხბურთელი, უღალატო მეგობარი... გაგრძელება შეიძლება, თუმცა საჭირო არ არის - ვინც მას ერთხელ მაინც შეხვედრია, დაგვეთანხმება, რომ მისი დარი პიროვნება ქართულ ფეხბურთში ბევრი არ არის.

მას ახლახან 50 წელი შეუსრულდა. გურულის თაობას ახალი მწვერვალების დაბრუნება უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა ახლა მას "დაკარგული თაობა" ჰქვიათ. ჩვენი წერილის გმირი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პირველი დისიდენტია და გახლავთ პირველი ჩვენებური ფეხბურთელი, ვინც უცხოურ კლუბთან გააფორმა პროფესიული კონტრაქტი. მოკლედ, საქართველოს ნაკრების ყოფილი დამრიგებლის, აღენ ჟორესის ასისტენტს მოსაყოლი ბევრი აქვს...

მას ხათრი ვერ ბავშუბზე...

- თავიდან ფეხბურთის გასართობად ვითამაშობდი ქუჩაში. 1973 წელი იყო. შევიბრუნე ჩატარდა სკოლებს შორის. ფიზკულტურის მასწავლებელმა ჩემს ძმას სთხოვა, იქნებ, გიამ ითამაშოსო. ის დადიოდა ფეხბურთზე მე - არა. მაინცდამაინც არ მინდოდა, მაგრამ ძმას ხათრი ვერ გაუშვებ.

შევაგდე გოლები. შემომთავაზეს სპორტ-სკოლაში გადასვლა. უკვე მოვიწამლე ფეხბურთით. იქ გავიცანი ლევან ბარათაშვილი, ჩემი დიდი მეგობარი და მართლა შესანიშნავი ნიჭის ფეხბურთელი. მაგარჯიშებდა ზურაბ ბარათაშვილი, ვისიც უსომოდ მადლიერი ვარ...

საუკეთესო ბავშვები გლდანის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში აგრძელებდნენ სწავლას. მეც სწორედ იქ მოხვდი. სხვათა შორის, მე და მია ახარაშვილი, ჩვენი სახელოვანი მძღოლსანი, დღესაც დიდი მეგობრები ვართ - ერთ მერსზე ვისხედით...

დინამო და ნაკრები...

- მერე იყო "დინამოს" დუბლები. 1981 წელს ვითამაშე ოთხთა ტურნირზე, ოლონდ, "დინამოს" დუბლშემადგენლობაში. "რეალი", "ალკმარი", "ბაიერი" და ჩვენ ვიყავით. მასხოვს ის საშინელი მომენტი, დავით ყიფიანს ფეხი რომ მოსტეხეს. იმ ტურნირზე 2 მატჩი ვითამაშე მე-10 ნომრის პოზიციაზე.

მიმიწვიეს საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში, მაგრამ მაშინ "დინამოში" ისეთი კონკურენცია იყო... 17 წლის ვიყავი და ნოდარ ახალკაცმა ბათუმის "დინამოში" გამიშვა. ნახევარი სეზონი ვითამაშე იქ, ფიზიკურად მოვმადრდი, მაგრამ მოვეშხადე და დავბრუნდი "დინამოში"...

დუბლებს აღმა-ათასა და ტრასკენტში უწვევდა გასვლა. აღმა-ათასი გოლი შევაგდე. ტრასკენტის თამაშში აღარ დამაყენეს. მივხვდი, ძირითადისთვის მამზადებდნენ. 1982 წელი იყო, "დინამოში" თაობათა ცვლა იწყებოდა...

ნიჭი ნამდვილად არ გვაკლდა

- ახლა ბევრი საუბარია იმაზე, თუ რატომ ვერ შეცვალა ჩვენმა თაობამ გუნდიდან წასული ვარსკვლავები. უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურად გაგვიჭირდა. დიდი ფეხბურთელების ფრთებში ჩავიკარგეთ. წნეხს ვერ გაგუძელოთ, თორემ ჩემს თაობას ნიჭი ნამდვილად არ აკლდა.

ჩემი ყველა გამორჩეული გოლი თვალწინ მიდგას. უფრო ხშირად სოფიის "ლოკომოტივთან" თბილისური მატჩი მახსენდება. თენგიზ სულაქველიძემ მომიცა პასი, მივიღე ბურთი, მივდივარ წინ, არ მხვდება მცველი. ჩამძახის შინაგანი ხმა - გაია, დაარტყი!..

მეც აღარ დავახანე... მართლაც ლამაზი გოლი გამოვიდა...

ჩემებამ რაღაც საიდუმლოს ფლობდა...

- თან არაფერი დამყოლია. დარტყმის სიძლიერეც და თავით თამაშის ნიჭიც შრომით გამოვიმუშავე. "დინამოს" ბაზაზე ადრე დახრილი კედელი იყო. იმასთან ვეარჯიშობდი ძალიან ბევრს.

თავით თამაშში ჩემი კოხირი იყო. უფლება არ მქონდა, ცუდად მეთამაშა - ამ კომპონენტში პირადად საშა ჩივაქე მაგარჯიშებდა.

ნორვეგიულ გიგანტს, 192-სანტიმეტრიან რუნე ბრატსეტს ვუგებდი საპაერო ორთაბროლებს, მხოლოდ რვეას ჩემებამქვს ვერ ვუხერხებდი ვერაფერს - ნახტომი არ ჰქონდა, მაგრამ რაღაც საიდუმლოს კი ფლობდა...

ჩამოვიდნენ, მნახეს, მიმპურნაღეს...

- პირველი ქართველი ფეხბურთელი ვარ, ვინც უცხოურ კლუბთან პროფესიული კონტრაქტი გააფორმა. 1990 წლის დეკემბერში "დინამო" პოლონურ "შეკრებაზე" იყო. იქ ვითამაშეთ ამხანაგურად "რუხს" და "გას კატოვიცეს". ამ კლუბის პრეზიდენტს მოვეწონე.

ჩამოვიდნენ, მნახეს, მიმპურნაღეს, ოპერაცია გამიკეთეს და კონტრაქტიც გამიფორმეს. 1991 წლის ბოლოსათვის ჩემს ანგარიშზე უკვე პოლონური თასი და სუპერთასი იყო.

მეორე სეზონისთვის მაგრად მოვემზადე, ასეთ ფორმაში არასოდეს ვყოფილვარ. ესაა, ვერ მჩერებდნენ, პირდაპირ ნადირობდნენ ჩემზე... ერთხელ მეც ავეყვი პროვოკაციას და გამაგდეს მინდურიდან. გავხდი პოლონეთის ჩემპიონატის საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი...

არც ვიცოდი, თუ ასეთი გუნდი არსებობდა...

- შუა სეზონი იყო, პოლონეთში ჩამოვიდა ვიღაც აგენტი, რომელიც საფრანგეთში ტრანსფერებს აგვარებდა. "ლე აერის" ინტერესზე მითხრა, მე შეიძლე ადგილზე უმადლეს ლიგაში და შენი გადაყვანა უნდაო. სიმართლე მითხრათ, არც ვიცოდი მაშინ, თუ ასეთი გუნდი არსებობდა...

ჩავედი, სამდლიანი სინჯები გავიარე, განაცხადში შევევანის გარეშე ვითამაშე ლიგის თასზე. მაშინ ასეთი რამ შესაძლებელი იყო... ჩამომიგდეს კონტრაქტზე სიტყვა. დავბრუნდი პოლონეთში. "კატოვიცეს" პრეზიდენტი არ მიშვებდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამთანხმდა.

1995 წლამდე საფრანგეთის ჩემპიონატის უმადლეს ლიგაში ვარსკვლავების ცვენა იყო - ზიდანი, ბარტეზი, დუგარი, კარემბუ, მაკელელე, შიფო, კლინსმანი, ვეა, რაი, ფიოლერი, ლამა - რომელი ერთი ჩამოუთვალო...

პირდაპირ ძირითადში დამაყენეს. პოპულარული ფრანგული ჟურნალი "ონზ მუნდიალი" ჩემზე ბევრს წერდა. სადებიუტო სეზონში 9 გოლი შევაგდე - ცუდი შედეგი არ იყო. მწვრთნელი იმასაც კი მეკითხებოდა, მეწველიდ რომელი ფორვარდი გირჩევენია, ჟოულ ტიი თუ ბრუნო ბრუო?.. ასე იყო საქმე - ბარტეზსა და ლამასაც გაუუტანე ბურთები.

...არადა, მიშხენში მელოდენ

- მაგარი წინადადებები მქონდა გერმანიიდან და იაპონიიდან. ჩემი გადასვლა "მიუნხენ 1860-ში", ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. "ლე აერში"

ბოლოსწინა მატჩში კუნთი გავიწვიტე და... ასე აღმოვჩნდი "დიუნკერში". არადა, გერმანიაში მელოდნენ.

ბელისწინა ფეხბურთშიც ბევრს ბანსაზღვრავს.

საქართველოს ნაკრების პირველი ოფიციალურ მატჩში რომ გამომიძახეს, მოდლოვასთან, უბედნიერესი ვიყავი. ზედმეტმა თავდაჯერებამ დაგვეუბა - გვეგონა, 10:0-ს მოვიგებდით. პირველი ტაიმის ბოლოს ტრავმა მივიღე და შემცვალეს. ბულგარეთში საშა ჩივაქემ უკვე აღარ დამაყენა ძირითადში.

საშას ვერაფერს ვეცუოდი, ის ჩემი კერპი იყო. 1986 წელს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე რომ ვერ ითამაშა, ნაწილობრივ ჩემი ბრალიცაა - ვარჯიშის მერე დავეტოვე მე მაგარჯიშებდა და კუნთი დაიზიანა. პირდაპირ ნოდარ ახალკაცთან მივედი. ვუთხარი, აქ ჩემი ადგილი არაა-მეთქი. ჩემად წავედი. ამით დასრულდა ჩემი სანაკრებო კარიერა...

თევზის ბიზნესი სულ დამავიწყდა, სამშობლოში ვბრუნდებოდი...

- კარიერა რომ დავასრულე, საფრანგეთში დავრჩი. რომ ვითამაშობდი, საწვევოს მსგავსად ვიხდიდი თანხას და მერე ამ ფულს დახმარების სახით გიბრუნებენ, სანამ სამუშაოს იპოვი. ერთი წელი ვისწავლე ექსპორტ-იმპორტის უნივერსიტეტში. სამთვიანი პრაქტიკა გავიარე, ყოფილი შევედი ფეხბურთელი, პენრიკ აგერბეკი დამიხმარა, "დინამოს" წინააღმდეგ "ჰერტაში" ჰქონდა ნათამაშები...


ჩემმა მეგობარმა მერაბ ჟორდანიამ მითხრა, ფრანგი სპეციალისტი უნდა ჩამოვიყვანოთ ნაკრებში.

მაშინ აღენ ჟორესი "ტულუზში" მუშაობდა. შეხვედრა შედგა მიშელ პლატინის ოფისში. ჟორესმა საღამო დამაწვრო, მომიკითხა. მითხრა, თუ წავედი საქართველოში, ხომ წამოხვალ? თევზის ბიზნესი მქონდა. სულ დამავიწყდა თევზი. სამშობლო მეძახდა. ცრემლები ვერ შევიკავე, მარტო რომ დავრჩი. ავდექი და წამოვედი.

ახლა ხან საქართველოში ვარ, ხან - საფრანგეთში. გული არაფერზე მწვდება. ერთი იმას ვნანობ ყველაზე მეტად, ამხელა ნიჭი რომ დავკარგე. ჩემი თაობა მართლაც ძალიან ნიჭიერი იყო - ლევან ბარათაშვილი, პატარა მიშა მესხი, გელა კეტაშვილი, გრიშა ცაავა...

ისე კი, ცუდი დროც იყო. საბჭოთა კავშირი ინგრეოდა და დიდი იზოლაცია იწყებოდა - ამასაც ვაბრალებ ბევრ რამეს...

გამოვიდა ლავრენტი ბერიას თარბმანის მეორე ტომი



გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XXI საუკუნის საშემთხვეო მინეჟი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დიდის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გახეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ - 599.573.322

- ექიმო, იცით, თმა მცვივა!
- იმიტომ, რომ ბევრს ნერვიულობთ.
- როგორ არ ვინერვიულო, როცა თმა მცვივა!

- მარო, შენი ქმარი კოჭლია?
- რას ამბობ, ქა, კოჭლი კი არა, ცალი ფეხი გრძელიც კი აქვს.

დილით ადრე ნეხვიდან გამოიპრა ორი ჭია - დედა და შვილი.
- დედიკო, ეს რა შრიადებს ასე მწვანედ და ლამაზად? - ეკითხება შვილი.
- ეს ტყე არის, შვილო!
- ასე ლურჯად რა ლივლივებს?
- ეგ ზღვა არის, შვილო!
- და ჩვენ ნეხვში რატომ ვცხოვრობთ?
- ეს არის ჩვენი სამშობლო, შვილო!

გოგო და ბიჭი ხელიხელჩაკიდებულები მოდიან.
გოგო ეუბნება ბიჭს:
- რა ოფლიანი ხელები გაქვს?
- შენ ფეხები უნდა ნახო...

სახალხო მკურნალობა მოუფო რიი ჯარ კილავ მილაპარ ნაშიონალური ფარმაცოთაფიას, როფალიხ მის დაიკიპანს ხლილოზა და კვლავ ჩაღაბ

სალხის ჯანმრთელონის სასახარკი

ლომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათევისებთან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფლობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეკურანეს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შეგლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ც-ჰეპატიტს, ნადვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მეურნალის კოორდინატები: თილაზი, სოფელი შალაპში, ბაზნიძე ბიჭიძე (ლომინტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე - შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან